

၆. အေကျိန်ဆုတ္တန

ပြည်တဒ္ဒာလွတ် ပြိုင်အကျိပ်

၁၃

မိမစာ မြေနာတ္ထာနဒ္ဒာ ဖက်မျိပ်

ပြိုင် အနီးအမံ

40-6 ၬ.ၬ

လှို. ၅.



၆. အေကျိန်ဆုတ္တန  
ပြိုင် အနီးအမံ

1948

## წიგნისა-წინაშის მოსახლეობა

საგანი ამ წიგნისა-წინაშის მოსახლეობა 60-50 საუკუნის წინაღ, და ამასთან დაკავშირებით ქართველთა ნაოესავისა შორეული წარსულია-მეტად რთულია და კერი საყმალდ გაშუქებული არაა. დიდ მუშაობას აწარმოებდნ ამის გარშემო სპეციალისტები, არქეოლოგები, ლინგვისტები, ისტორიკოსები. კერი ჩხოლოდ დასაწყისია ფართო მუშაობის. ზოგი რამ ნათელია უკვე, ზოგიც მეტალიდ მოსჩანს. არის სწორა ზოგადი ხაზები, უძავო გაკვლევები, მაგრამ არის კუანძები, რომელთა გაუჩსეულობა აბრკოლებს წინსვლს. არის პერსპექტივები ცვლილესი მნიშვნელობის, არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მოცლი მსოფლიოს ისტორიისათვის, ხოლო ამაში აქაციები ჩარცელია ჯერაცერობით პიპოტებური აზრები, თუმცა ისე-ადგი რომელნიც შეიძლება მაღლ დამტკიცდეს.

წინა აზის უძველეს მოსახლეობის საკითხისათვის ქართულ მეცნიერებასაც აქეს სათქმელი თავისი სიტყვა, დიდი სიტყვა, და დარწმუნებულა ვარ, ის ამას იტყვის. მისი დახმარება მეტად ძირიფასი იქნება და ნაყოფირი, ბევრი, დღეს საღავო საგანი, მხოლოდ მას შეუძლია გააშუქოს და ცხადი-გახადოს.

წინა მდებარე წიგნი შეიტანს საბჭოთა კაშირის და ევროპიულ-ამერიკულ მეცნიერების ბოლო დროის გამოჯვლევების დასკვნებს. ეს მეცნიერნი დიდის დაკვირვებით ეპფრობიან წინაშის უძველეს ისტორიას და ვფიქრობ, ჩემი ამოკულური და თავმოყრილი ცნობები ინტერესს მოკლესული არ იქნება ქართველი მკითხველისათვის, რომლის სოფლ მხედველობა დღეს ასე ძლიერაა გაფართოვებული.

ეს ნაშრომი, რასაკვარფელია, საკითხს არ ამოწურავს. მე ვიძლევი ზოგადს ცნობებს და, თუ ეისთვესმე ეს საკმაო არ დარჩება, მას შეუძლია თავისი გაღვიძებული ცნობისმოყვარეობა სხვა წყაროებიდანც დაიქმაყოფილის და ცოდნა შეიძლის.



## ჩართველთა ჯინაპრეზი

და

## შათი მონათესავე ტოშვილი ჯინააზიაშვი

40 - 6 ს. ს. ქრ. წ.


(ხუმერი - კლამი - პური მიტანი - ხეთა - ურარტუ - კასხი  
- მუსხი - ლილია - ფრიგია)

იყო დრო და არც სუ შორსაა ეს ღრი, როცა სწავლულები კაცობრიობის თავეადასავალს საბერძნეთის და რომის ისტორიით იწყებდნენ. მერე ამას მიუმატეს კოტა ეგვიპტეს ამბები, შემდეგ კიდევ ირანს, ბაბილონს, ასურეთის. ისტორიულ სცენაზე სჩანდნენ მხოლოდ სემატები და ინდოევროპიელები და მთელი ცივილიზაცია ქვეყნიერებისა იხატებოდა როგორც მათი ნამოქმედარი და შექმნილი. მაგრამ დაახლოებით 60-70 წ. წინად დაწყებულმა გათხრებმა წინააზიასა სხვადასხვა ადგილებში, გათხრებმა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ 25 წ. განმავლობაში და რომლისთვის ერთმეორეს ეცილებოდნენ ფრანგი, ონგლისელი, გერმანელი, ამერიკელი და სხვა არქეოლოგები,—სულ ერთიან გადაატრიალა არსებული ისტორიული შემეცნება. გათხრებმა აღმოაჩინეს მთელი ქალაქები, ტაძრების და სასახლების ნანგრევები, არხები, გზა-ტუცილები, აღმოაჩინეს ვრცელი ბიბლიოთეკები, ნაწერები, რომლებიც შეიცავენ მრავალ-

ფეროვანი ცხოვრების დარგებს, აღმოჩინეს მთელი დიპლო-  
მატური. მიწერ-მიწერები სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის,  
კამერული და საბანქო ანგარიშები, კერძო წერილები, სა-  
ხელმძღვანელოები ცხოვრებისათვის, ლიტერატურული და  
ტეკნიკული ნაწარმოები და სხვადასხვა, — და დაკერძობულ  
შეცვლევართა წინაშე აღსდგნენ სრულდას უცნობი სახელმწი-  
ფოები, ერები, ენები, რომელთანაც — ზოგთან უარც  
თურმე მოსატანი არა ბევრი მანაშვე ცნობილი ხალხი და  
სახელმწიფო. ეს ახლად აღმოჩენილი ქვეყნების თურმე უდი-  
დეს როლს თამაშობდინენ ისტორიაში და მათ ამბებს შეცვრ-  
მეტყველთან მოგვითხრავ ნაშენების ნაშთები, სა-  
კულები, კურტენები, იაზალები, და სხვა ნივთები და ვანსა-  
კუთრებით კი უამრავი ტაბლეტები (დაფები) რომელებიც  
მათთვის ქაღალდის და წიგნის მავივრი იყო. ეს ტაბლეტები  
კეთდებოდა სუსტა თახისაგან, რომელსაც ტარგად მოზელავ-  
დნენ და მისცადნენ პეტრა დაფილ თხებს. ედრე რძილი უყ.  
დაწერულნენ, რაც უნდობათ და მეტოვე ან მშეწე გაასმობდნენ,  
ან გამოწვევდნენ ცუცხლში. ხშირად ტაბლეტებს კონვერტშიც  
სდებდნენ, რომ უკუთხსად შენახულიყო. ტაბლეტები ქაზე მა-  
გარია და მისი წყალობითა უწითავრესდა, რომ შენახულ იქმნა  
უძევლეს ღრიოს ცივალიზაცია. ვათხები გრი მხოლოდ დაწ-  
ყებულია: ერთი ამერიკელი მკელევარი ამბობს, რომ მარტო  
ერთი პროცენტრიც კათხილი და ამოჩენილი, რაც მიწაშია და-  
მახსულ, და რა უფალავი მასალა გადაიშლება კულტივი-  
ბის წარმშე, როცა გათხრები დასრულდება და მკერიერების  
ჰელო ექცებათ დღეს მიწაში დამალული დოკუმენტაცია! იმიც,  
ჩაც ამოცებულია და წაყოხული, ისეთს ტეტალურ სურსატებს  
რთლება ყოველდღიურ ცხოვრებისას, რომ შეგაძირ ახალერი  
მომდევება თვით ბერძნების და რომელების შესახებ, რომელ-  
თაც მოიძარი ლიტერატურა დაგვიტოვეს ცნობილი ფრანგი  
არაინგლისეთი **Contentati** ამბობს: ჩვენ საფრანგეთის სა-  
შეალო საუკუნოების გლობების შესახებ უფრო ნაკლები ვა-  
კით, კიდრე მესოპოტამიას მიწის მუშის შესახებ ხეთი ათა-  
წლის წინადა.

ვინ არიან ეს ახლად მცველეობით აღმდგარი ნალექი წი-  
ნაშისა, რომელთა სახელები გრი კიდევ სრული სისწოდის

სასა დადგენილი? ესენი არიან ელამბი, სუმერი თუ შემცრი,  
ჰერი თუ ზური, მიტანი, ხეთი თუ ნარი, ურარტებ,  
კასტი, კასტი, მუსკი, თუ შეშები თუ მოსხი, შეშები, ფრიგი, ლი-  
დი, რომელნიც იყვნენ მთავარი მომქმედნი წინამშისის უძე-  
ლეს წარსულში და რომელთა ცივილიზაცია დაეფარ წატუ-  
ლად მოულ შერმენდელ ცივილიზაციას მთელ წინაპირში,  
მთელ ძეგლტერანებში, მთელ დასავლებულ სა-  
ხელმწიფოთა ხალხები არც ერთი არ ეკუთვნის არც სემი-  
ტებს, არც არიელებს (ინდოებისიელებს). ყველა სხვა გან-  
საკუთრებული ოჯახის წევრია.



ვიღრე მათ თავგადამავალს და შემოქმედებას შევეხებო-  
დეთ, წინაწერი თვალი გალაფაცლით წინაპირის ზოგად გეოგ-  
რაფიულ მოხახულობას. წინაპირი ცატა უსამარტინის იმათ-  
კუთხედათ რომ წარმოვიდგინოთ, მის თოხსავე კუთხეში ვე-  
დავთ ზღვებს: აა სამხრეთ-კასტისაელურთით საბათების უზრე.  
რომელიც შტოა ინდოების ლექანისა; ზექით, ჩრდილო-აღმი-  
საკულტოთ — კასპიის ან ჰირკანის ზღვა; ჩრდილო-დასაკულ-  
ტო — შავი ზღვა, რომელიც უერთდება სამხრეთ-კასტის უზრებე-  
ებს უკანასიერელი ჰიაზოვანის წ. აზიის დასავლების უკანასიე-

დის, რომელიც ასტორიულად, აგრე კონკრეტულად, დამატებაა. წ. აზისა, ქვეყით კიდევ მეტამული ზღვაა, სპარსეთის ყურეს პარალელურად და ამასაცით ინდოეთის უკანეს შტო. დავისახ-სოვროთ ამისთან თრი დიდი ტბა ჩრდილო-აღმოსავლეთით — ურმია და ვანი: მთავარი მღინარეებია ტიგრი და ეფრატი, რომელიც ერთვიან სპარსეთის ყურეს, კერქა — შეერთვის იმავე სპარსეთის ყურეს ტიგრ-ეფრატის შესართავის ქვემოთ; არაქსი და მტკვარი — შედიან კასპის ზღვაში, ჭოროხი და ლალისი — შედიან შავ ზღვაში, ორონტი — სირიაში და იორ-დან — პალესტინაში. საერთოდ, მდინარეთა რაოდენობა საკ-მათა, ხოლო მათი ნაპირები მეტწილად კლდოვანია და ჩაგარ-ღნილი. ნიადაგი, აზოვადოთ, მთიანია ზეგანებით (პლატო-ბით), მხოლოდ ტიგრის და ეფრატის ნაპირები შუა აღვილი-დან წარმოადგენენ სამხრეთისაკენ ოდნავ დაქანებულს ველს. მთავარი მთებია: ტიგრის აღმოსავლეთით — ზაგროსი, რომ-ლის გადაღმა გადაჭიმულა ირანის პლატო, ჩრდილოეთით სომხეთის მთები და ელბრუსი კასპის ზღვის სამხრეთ ნაპი-რის ახლო, მერმე კავკასიონის ქედი, დასავლეთით — ტავრი და ანტიტავრი და ქვეეთ, სირიაში — ლიბანი და ანტილიბა-ნი. სულ დაბლა წ. აზის საზღვრავს ჯერ სირიის და შემდეგ არაბეთის უდაბურები.

უძველესი მოსახლეობა წ. აზისა — არქეოლოგიურ-ის-ტორიულ მეცნიერების დღევანდელი მონაცემების მიხედვით — იყენენ სუმერელები და ელამელები. ზოგის აზრით ელამის ცივილიზაცია უფრო ძლიერი და უძველესი სუმერისაზე. ხოლო რად-გან სუმერის ძალირიული მნიშვნელობა გაცილებით აღმა-ტება ელამისას, ამიტომ დავიწყოთ სუმერის ამბებით.

### ს უ მ-ე რ ი

სუმერი მდებარეობდა სპარსეთის ყურესთან, ტიგრის და ეფრატის ნაპირებზე, იმ აღვილაშედე, სადაც ეს ორი მდინარე ძალიან უახლოვდება ერთ-მეორეებს. ეს ტერიტორია, დაახლო-ებით, ახლანდელი ბელგიის ადგენა იყო. ეხლა ტიგრი და ეფ-რატი ერთდებიან და ისე შედიან ზღვაში. ასე არ იყო 6-7 ათასი წლის წინად ძ. წ. სპარსეთის ყურე გაცილებით შორს იყო გამოწეული ჩრდილოეთისაკენ, დაახლოებით 150 კილომეტ-რით აწინდელი შესართავიდან. ტიგრმა და ეფრატმა აღიდების

დროს ჩამოტანილ ნალეჭით თანდათან მოსილეს ზღვა. ჯერ გაჩნდა ჭაობები, და მერე მთლად გაშრა მიწა. რადგან ეს ნია-დაგი შეტად ნაყოფიერი იყო, მას მოაწყდა აქეთ-იქიდან ხალ-ხი. ჩრდილო მხარეს დასახლდნენ სემიტები და ამას ეწოდე-ბოდა აკადი ან აგადე. სამხრეთი ნაწილი დაიკავეს სუმერელე-ბით. საიდან მოვიდნენ ისინი, აზ. იციან; ფიქრობენ, მთიან აღიალუბიდან უნდა იყენენ, რადგან მთიელთა ზოგი ჩვეუ-ლება ჰქონდათ შერჩენილი. სუმერი შესდგებოდა რამდენიმე სახელმწიფოსაგან — თითოეული შემოკრებული იყო დიდი ქალაქის გარშემო, როგორიც იყო ერიდუ, ურ, ურუქ, ლაგაშ და სხ. ქალაქები — სახელმწიფოები ერთმანეთს ეჭიბრებოდ-ნენ, ხან ერთი იყო პირველი, ხან მეორე. სამი ათასი წლის წინად ძ. წ. პირველისა ეჭავა ლაგაშს, რომლის მეფემ ვანა-ტუმ დაიმორჩილა მეზობელი. სახელმწიფოები და სხვებსაც შეესია სუმერის გარედ. შემდეგ საუკუნეში აქ ვხედავთ მე-ფედ ურუკაგინას, რომელმაც სახელი გაითქვა თავის მეტად დამოკრატიული რეფორმებით და თავგასულ. სამღვდელოე-ბის აღადგით. იგი დაამარცხა ქალაქ უმბას მეფემ ლუგალ-ზაგსის, რომელმაც გააქრიანა მთელი სუმერი. დაიპყრო სხვა მხარეებიც სპარსეთის ყურედან ხმელთაშუა ზღვამდე. და შეპქმნა პირველი იმპერია მესოპოტამიაში.

როგორც ზევით მოვიხსნენით, სუმერის ჩრდილოეთით ცხოვრის დანენ აკადელები — სემიტები. მათთან სუმერელებს თავიდანვე შეტაკებები ჰქონდათ და რადგან აკადელები კულ-ტურით დაბლა იყვნენ, სუმერელებს ისინი დამორჩილებული ყავდათ — პოლიტიკურად და კულტურულადც. ხოლო აკა-დელები თანდათან მოღონიერდენ, თვით სუმერშიც ჩამოთქს-ლდნენ და შესამე ათასეულის შუაში აკადის. მეფემ შარუკენმა (სარგონმა) დაიპყრო მთელი სუმერი, ეს აკადელების ბატო-ნიბა გაგრძელდა ორ საუკუნეს, რომლის შემდეგ სუმერელებ-მა ისევ აღადგინეს თავისი დამოუკიდებლობა. აღორძინებულ სუმერს ჯერ ხელმძღვანელობდა ქალაქი ურუქ, მეფე უტუ-პეგალის მეთაურობით და შემდეგ ხელმძღვანელობა აღო-ქალ. ურმა. ურის სიძლოერის დამარსებელი იყო შეფე ურ-ნამუ თუ ურ-ენგურ. მან შეპქმნა მაგარი ცენტრალიზური სა-ხელმწიფო, კარგად გაწრთვნილი და მოწყობილი აღმინის-

ტრაციათ. იმპერიამ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია ფრანგულის შეინარჩუნებულის დროს. ეს იყო ხანა დადი ეკონომიკური წარმატებისა და კულტურული აუვაკების: მესამე ათასეული წლის ბოლოში, ბარბაროსული ტომები, რამელობის სუბერი ყოველთვის მშენდ იყვავდა თავის ტივილიზაციას, უფრო და უფრო აძლიერების თავდასხმებს. აკადემიუმი ზევადან (ჩრდილოეთიდან) დაერთვიან ანალი სემიტები, ამორულები, ბაბილონის გარშემო. აკადემიუმი და ამირეელები საბოლოოდ დამხმობენ სუბერის მის სიმდიდრეს, მის ცივილიზაციას, მის პანთეონს, ლიტერატურას, ხელოვნებას და ქართულობა ახალი იმპერია ბაბილონეთისა, რომელსაც სახელი გაუქვდა პარველად მეფე ჰამურაბა მეოცე საუკუნეში, (პამურაბის ცნობილი კოდექსი აღმოჩინეს ამ საუკუნის დასაწყისში).

დასრულდა სუმერულების სახელმწიფო ეპოქი ასებობა, მაგრამ არ დასრულებულა მათი ცივილიზაცია. ისტორიასთვის იმდენი ფასი არა აქვს ოქებს და მათ მეორ გამოწვეულ ხოცა-ელეტას და ლანგრავებს, მოხდება ეს პირველყოფილი იარღით თუ ატომური ყუმბარებით. მისთვის უფრო ისა-ძეორფაში და საეურალებო, თუ ვინ არ შეიძინა კაცობრობის ცხოვრების გაუმჯობესებას და ვალაზაზებას. ისტორიულ-სები სეემატურად ასე აღმუსხავეო სუმერულების დასახურებაში: მათ ჰიტიკელებია შექმნენ სახელმწიფო, გაუკანებს სახწყაფა არხები, შემოიღეს იქნოს და ვერცხლის ხმარება ლირებულობის საჭირო, სავარის ხელშეკრულებანი, სისტემა ქრებტისა, პირველებია შექმნენ საკანონო კოდექსები, დამწერლობა, პირველებია მოვეტის ლეგენდა ქვეყნის შექმნა და წარლენის შესახებ, ბიბლიოთეკები, სკოლები, ლიტერატურები, ქანცხებები, ბარელიეფები, სასახლეები, ტაძრები, თაღი, სტარა და გუმბათი და სწერ, თითოეული აქ მოსხენებული გამოქვეყნება მიწელ ეპოქას წარმოადგენს ადგამიანის წარმატების ისტორიას.

სუმერული სახელმწიფო ცენტრალიზურია, კარგად გამარტიული მიუროკრატიული ადამიათი. მეფე ლოთავების წარმატებებისა და უმაღლესი მღვერლმთხვერი. ამ ტრადიციას შეტელ ქვეყანაზე უკეთ მეფის ტიტულში ხმარებული „ნებითა ღვთისათა“. მეფეს ჰყავს გაწრივნილი ჯრი, იმ დროსთ-

ვის საუკეთესოდ შეისრალებული. მეომრებს აცევათ მოკლე ტანსაცმელი მუხლებამდის და წამოსახუმი — ჩვენებური წა-ბაზის მცველი. თავზე ხურავი ახლოენის ქრდა, რომელიც მცვალეა კისერის და ყურსაც. სუმერის შეფეხების შესახებ უ-კერავის კისერის და ყურსაც. სუმერის მეფების ტრამ-და იმედი, რომ მაშინ, როდესაც ასურეთის მეფები ტრამ-და იმედი, რომ მაშინ და ამტენი ქალაქი და გობრინები თავით მეგლებშე; ამტენი და ამტენი ქალაქი და გავარიო და დავწვევი, ამდენი შეტერი დავატყვევე, ამდენ თავით მეფები და გავსკერო, — სუმერის მეფები თავით ლოკუმენტებში იმა აღნიშვნენ, რომ აგაშენებ ტაძრები, გაფიქვენ არხები, იმა აღნიშვნენ, რომ აგაშენებ ტაძრები, გაფიქვენ სამართლა, გამოვეცი განანთა კოდექსა, დავამყარე წესი და სამართლა, მღვდლებს აკურძრდა ქვრივ-ობოლოთ შევიწროება და მიც- მღვდლებს აკურძრდა ქვრივ-ობოლოთ შევამცირებულის წესის აგებისათვის გადასახადი ხუთჯრ შევამცირება და სხვა.

სუმერის მკვიდრნი დაყოფილი არიან შემდეგ კლასებად: პირეელ რიგში კუთილშობილთა წოდება — მოხელეები, სამღვ-დელოება და რეგულარული არმიის ჯაშისკაცები. მათ ქვე-დელოება და რეგულარული არმიის ჯაშისკაცები, ხელოსნები, მასწავლებლები, მიწატმე-ით არიან გაქრები, ხელოსნები, მასწავლებლები, მიწატმე-მედი. უკანასკნელ საფეხურზე იღგნენ მონები. კეთილშო-ბილთა სისხლი უფრო ძვირია ღირსაღი ლირით. მიგრამ, თუ ეფილშო-ბილთა რამეს დაშავებულ, მას მეტი სასკელი დატებოდა, ვიღ-ბილთა რამეს დაშავებულ, მას მეტი სასკელი დატებოდა, რე მეორე წილებისა. მონა თუშება პატრიონის საკუთრებაა, რე მეორე წილებისა. მონა — შეუძლია მოწმერ გამოვი-მაგრამ მოლად უუფლებო არა — შეუძლია მოწმერ გამოვი-დეს, საკუთრება პქნნდეს, ისკუსის, საგაჭრო ვალებულება და იყისროს, თავისუფლება გამოიყიდოს. თუ თავისუფლება და საყ-კუთრება მონებ და შველები ეყიდებოდნება, რომეს გვ-გარღვეული აკეთება მონებ და შინულები ქალიც და შვე-ლორ გაყიდება უკეთ და მისი სიკედილი შემტებ ქალიც და შვე-ლორ თავისუფლები ხელებოდნენ. თუ თავისუფლება ქალიც და შვე-ლორ გაუხვები და შვე-ლორ გაუხვები და შვე-ლორ გაუხვები და შვე-ლორ (და ეს სარულებო სამარტვანილ არ ითვ-ლებოდა), შვილები თავისუფლები იყვნენ.

სუმერიში დამყარებული იყო ერთცოლისნიმბა. დაქორწინება ხელმოდა ხელშეკრულების საფუძველზე. ოჯახის მაქმე-ებს ცოლ-ქმარი განვებენ თანაბარი უფლებით. ტოლს შეეც-ლია საუთარი მონები ჰყავდეს. ქალის შარალ მსგამარეობისა არ ეცუდოდა ხელობის ის, რომ, ზოგიერთს შემთხვევაში, ქმარს შეეძლო ვალის გასატუმრებლად ცოლის მონად გა-იდეს დროებით (ხამ წლამდე).

უკველა აქტი საზოგადოებრივი ცხოვრებისა — ყიდვა, გა-  
უიდგა, დაქირავება, გაცვლა, ჩუქება, დაქორწინება, შეილთბა,  
განკურტინება, ანდერძი და სხვა აუცილებლად წერილობით  
უნდა შესრულებულიყო, მხარეების და მოწმეების სელისტო-  
წერით (პირადი ბეჭდის დაკვრით). აქ უნდა გავიხსენოთ, რომ  
ინგლისში მხოლოდ მე-17 ს. ბოლოს იყო შემოღებული ყიდ-  
ვა-გაუიდგის და მსგანი აქტის წერილობით შესრულება. და-  
ვისა და საჩივრის განსახილველად დაინტერესებული მხარე  
ჯერ „მომრიგებელ მოხელეს“ მიმართავდა და, თუ უკანასკე-  
რი ვერ მოაგვარებდა უთანხმოებას, საქმე გადადიოდა რეგუ-  
ლიარულ სასამართლოში, რომელიც შესდგებოდა 3—5 წევ-  
რისაგან: განაჩენი, რომელსაც წინ უძროდა მოკლე ოქმი, უნ-  
და წერილობითი ყოფილიყო და ის ინახებოდა არქივში. საქ-  
მის გასაჩივრება შეიძლებოდა უმაღლეს სამსაჯულოში.

ცხოვრების ქონებრივი წყარო იყო სოფლის მეურნე-  
ობა და ხელოსნობა, ვაჭრობა. ყანები წესრერად ირწყებოდა  
მრავლად გაყვანილ აზებით, რომელთა სარგებლობა განწე-  
სებული იყო კანონით. პური და ქერი უხვად მორიოდა. პუ-  
რის, ქერის, მრავალი ხეხილის კულტურა სუმერიდან მერე  
სხვაგანა გადატანილი და გავრცელებული. დღიდი წილი მიწე-  
ბისა მეფეებს, და ტაძრებს ეკუთვნილდა, იყო ცოტა საზოგადო  
მფლობელობა მთელი სოფლის, მაგრამ საერთოდ გარეულე-  
ბული იყო კერძო საკუთრება. მესაჟურა თუ სესხს აიღებდა  
თავის მიწის დასამუშავებლად, მოსავლის მოწევამდე სესხს  
ვერ მოახვდნენ. თუ მოსავალი უდი იყო პატრონის უმი-  
ზეზოდ, სარგებელს არ იხდიდა. ხეხილიანი ბალის მქონავებე-  
ლი იხდიდა მოსავლის არ მესამედს. თუ დაქირავებულ მიწაზე  
ვინძებ თვითონ გაშენებდა ხეხილს, მხოლოდ მეხუთე წლიდან  
იხდიდა ქირას. მკაცრად აკრძალული იყო ნაღავის დაუმუშა-  
ვებლად დატოვება.

წარმოება ძველ დროში საერთოდ არ იყო განვითარებუ-  
ლი — ყველა თვითონ იქმაყოფილებდა თავის საჭიროებას.  
მაგრამ სუმერში ხელოსნობა — სამკაულების, ჭურჭლების,  
იარაღების დამზადება — საქმაოდ განვითარებული იყო. გან-  
საკუთრებით ფართო ადგილი ეკავა მშეოველობას და ქარგ-  
ვას, მაუდის მანუფაქტურას, რომელიც უმთავრესად ტაძრების

ნელში იყო. ამისათვის მრავალი ქალი მუშაობდა ტაძრების  
ქარსნებში. ტაძრები საზოგადოდ უკონიმიური ცხოვრების  
დიდი ცენტრები იყვნენ — მათ ჰქონდათ მრავალი მიწა, ლე-  
ბულობდნენ. დაიდა შემოწირულობას, აწარმოებდნენ გაცვლა-  
გამოცვლას და ვაჭრობას, ფულსაც იძლეოდნენ სესხად. ამი-  
ტომიაც ტაძრებში მწერალთა მთელი კანცელარია ასეებობდა,  
რომელიც უკველაფერს ანგარიშობდა, ჩასწერდა, ალგებდა.

სუმერელები ფართო ვაჭრობას აწარმოებდნენ მეზობელ  
და შორეულ ქვეყნებთან. კარგად გამართული გზებით, მდი-  
ნარებებით, ზღვით დაქირნდათ თავისი ნაწარმოები ინდოეთ-  
ში; კაბლობის, ეგვიპტესა, სირიასა, ელამში და სხვაგან. მათი  
საგაჭრო აგენტურები გაფანტული იყო მრავალ ქვეყანაში. სუ-  
მერს გარედან შემოჰკონდა ნედლი მსალა თავის წარმოები-  
სათვის: სპილენძი ომანიდან და კავკასიიდან, ვერცხლი კილ-  
კიიდან და ელამიდან, ექრო ელამიდან, სირიიდან და კაბადო-  
კიიდან. უცხოეთში იძნდა აგრეთვე ქასა, სფალტება, ხე-ტყეს.

სესხისათვის კანონით დაწესებული იყო საჩეკელი: ხო-  
რბალზე და, საზოგადოდ, მარცვლეულზე 33½ პროცენტი,  
ხოლო ფულზე — 20 %.

წავლა-განათლების ცენტრები იყო ტაძრები. იქ გამარ-  
თულ სკოლებში პირველი კურსადღება შიქცეული ჰქონდა წე-  
რა-კითხების შესწავლის, რომელიც არც ისე ადგილი იყო ლურ-  
სმული წერის ნიშნების სიმრავლის გამო. წერა-კითხების მცო-  
დნეს დიდი ფასი ჰქონდა. ქალაქებში, ნამეტურ სავაჭრო ადგი-  
ლებში, ქალაქებს შესავალ კარგებში მწერლები გამზადებულნი-  
იყვნენ ახლად გავრცელებულ ტაბლუტებით, მსურველებისათვის  
საჭირო აქტის შესადგენად. ქალაქებს ან სასახლის კარი წარმო-  
ადგენდა საკმაოდ გრძელ და ფართო გალერიას, ოთახებით,  
დარბაზით. ეს იყო მთავარი აღვილი შესახვედრად, სხვადასხვა  
საქმის გასაკეთებლად. საჩივრების განსახილველად. სკოლებ-  
ში წერის გარდა აწვალიდნენ გრამატიკას და არითმეტიკას.  
სუმერში თველა ემყარებოდა 6 და 60 და ამის კვალი ჩევნამ-  
დის არის დარჩენილი: წერილია 12 თვედ და დღე-ლამის  
12+12 საათად, საათის 60 წამად და წამის 60 წუთად დაყო-  
ფა. ასევე წრეს რომ 360 გრადუსათ კვითო, ესეც სუმერის  
ნაანდერძევია. სუმერელებს ჰქონდათ ციფრებისათვების განსა-

კუთორებული ნიშნები, რომელთა მნიშვნელობა იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ რა ადგილი ეყავით ხეერთი რიცხვში, როგორც ესაა, აგრძელდებულ არაბულ ციფრებში. ასეთი იყო პირველდაწყებითი ქანგლა. თუ ვანმე მეტს მოისწოდებდა, უნდა შეიწყველა გეომეტრია, ალეგრია, ასტრონომია, მედიცინა, ყველა ამ ცოდნას სუმერულებმა დაუდევს საფუძველი და, ჩაგალ, მეტიცინაში მათ უკვე იცოდნენ ზოგიერთი ტეივალის წმალი, რომელსაც დღეს გხმარობთ. საგულისხმიეროა სუმერია: ანინშავებლობა ქირურგიული ოპერაციების შესახებ: თუ აქმა ცუდად გააკეთებდა ოპერაციას და ავაღმყოფა უნებას მიაყენებდა, მას მძიმე სასახლელი მოელოდა.

სკოლების გარდა ტაძრებთან და სასახლეებში ასებობდა ბიბლიოთეკები.

აუთს კულტურულ ხალხს, ცხადია, განვითარებული მწერლობა ჰქონდა ორი ათასის წყლის წინად დ. წ. (როცა აშ-კარა გახდა, რომ სუმერის ეროვნულ-პოლიტიკური არსებობა დათვებული იყო თუ თავდებოდა) სუმერელმა მწიგნიბრებმა გამოიჩინეს არასულებრივი აქტივობა, თავი მოუყარეს და ჩატვრეს ყველა ისტორიული ვალმოცემები, ფატები, ლეგენდები, პოეტური ნაწარმოები, ლექსები, ლაცვები. სუმერელების რელიგიური ლოტერიატურა თავის სივრცით და მრავალფეროვნებით არ ჩამოუვარდება არც ერთი ძევლი დროის ლოტერატურას, — ამბობს ჩიკავოს უნივერსალური პროფესიარი Chiera. მათ ეკუთხის პირელი გვისი მსოფლიო ლიტერატურაში, ესა ვალგამეში, რომელიც უკველეს დროის იყო განათარგმნილი სხვა ენებზე (ბაბილონურზე, ხეთურზე, ჰურულზე). სუმერის ლეგენდები ქვეყნისა და ადამიანის შექმნის, წარვინისა და ნეიქს კილონის, სამოთხისა—და ხე-ცნობიერების შესახებ, იმისა ამბავი, ფსალმუნი, ყველამ იყავ და ეს შეტანილია ბიბლიაში. სუმერელებისათვის უცხო არ იყო ფილოსოფია და მათვეს უკვე დღვა ია ფილოსოფია საკითხები, რომელიც შემდეგ იყორმდნენ ბერძნობა გონიერებას და, იმავე Chiera - ს ერთყველ, როცა ტაბლეტების შინაარსი საფსებათ გადაიშლება ჩვენს წინაშე, ჩვენ დავინახვთ ბევრს საკვირველებას — იმას, რომ ბერძნული ფილოსოფიის სათავე სუმერში იყო.

ჩვენ უკვე ჭოვისენივთ ბაბილონის მეფის. პამურაბის კუდეები. სუმერულებს, ჰელინდათ არა ერთი და ორი კოდექსი, რომელთაც, საჭიშვეროდ ჩვენამდე არ მოუწევია, ყოველ შემთხვევაში გრძ არსადაა აღმოჩენილი. პამურაბის კოდექსი — ეს შემძლა სუმერულ კინონთა კრებულია, რომელშიც შეტანილია მცირეოდენი ცელილება, მაგალითად, ზოგიერთი ტანაცულისათვის უფრო მცირი სასჯელია დაწესებული, ვადა ჩა სუმერულებს ჰქონდათ. მაგალითად, თუ გაპარული მონის დაბალვისათვის პამურაბი სიკეთლით დასჯებ შევიტა, სუდიალვისათვის პამურაბი სიკეთლით დასჯებს, სუდიალვისათვის „დაზაფულისათვის“ მხოლოდ გარიმა იჭო უდეგენილი.

სუმერულმა ხელოფებამ ჭერ გადაც მეტაც ათასეულის წლებში და. წ. მიაღწია ისეთს საფეხურს, რომელსც იშვიათად თუ შეედრება სხვა რომელიმე ძველი ხელოვნება. ქანდაკება, ბარელიეფი სპელენდისაგან, კედლების მოხატვულობა, ლითონის მოხერხებული მოხმარება მოსართა-მოსაქაზმავაზ გაცილებით უსწრობს ვევიძტურის. სუმერული მხატვრის ვაზ გაცილებით უსწრობს ვევიძტურის. სუმერი მოხაზულობის გემოებია, მასალის შეცნობა, სხვადასხვა ნიერიერების საუკეთესოდ შეერთება, პარმონია. გამასაუთრებით ეხერხებოდათ სუმერელებს ცხოველების გამოქანდაკება; ცნობილია ვერცხლისაგან გამოქანდაკებული თავი ძროხისა, იშვიათის გამოქანდაკებულობის.

დასტარულ რამდენიმე სიტყვა: სუმერის სარწყმონების შესახებ. ეს სარწყმონება პირველად წარმოადგენდა შეთების, ტყეების, მდინარეების თაყვანის ცეკვას: მერქე ცოველები ხდებიან ღმერთებად, რომელთაც ხშირად ნახევარ დამიანის და ნახევარ ცხოველის სახე აქვთ. ბოლოს ღმერთები აღამიანები სახეებით გვევინებიან. სუმერის პანთეონი: ჭერ მიწაზე და ლაგებული არა, ნათლად გარევეული არა ღმერთების ურთიერთობა. მაგნც დღესაც შეგვიძლია ზოგიერთის განაზღვრა: უფროსი ღმერთი ანუ — უფალი ცისა, ცომერობის ჭერშია სადაც ღმერთის სხვა ღმერთებს უწლეს — ბრძანებული ჭერშია სალისა და გამეგბელი კაცთა ჭედის, მას ჰყავს ცოლად ჭილის; ადად ღმერთი ჭებილისა და წვიმის, ერთისა — უფალი

წყალთა, წირმოების, სიბრძნის; სინ — ღმერთი მთვარის, უფალი დროის; **შაბაშ** — ღმერთი მზის, სამართლის (აპოლონის წინაპარია); **ნიჩებალ** — ღმერთი მიცვალებულთა, უფალი საიქის — არალუს; **ნინურთა** — ღმერთი ომის (მან შესცვალა ძველი ღმერთი ნინ-ვორსუ); ნინურთას ცოლია **გულა**, უფალი აქიმობისა (მან შესცვალა ნინგირსუს მეუღლე ბაბუ ან ბაბა). სუმერის პანთეონში მერმე და მერმე ცველა ქალღმერთის თვისებები თავს იყრის ერთ დიდ ქაღალდებში; ესა დიდი დედა ღმერთი, დედამიწა — ნანა, ინინ, ინან, ღმერთი განაყოფიერების, რომელსაც სემიტებმა დაარქევს ასტრატა ან იშტარ.

სუმერულმა გენიამ შექმნა და განავითარა ეს ცავილიზაცია, რომელიც ცოცხლობდა 1500 წელიწადს მისი შემოქმედის პოლიტიკური არსებობის გაქრობის შემდეგაც. ბაბილონებში წირვა-ლოცვა და სასამართლოში საქმის ჭარმოება სუმერულად იყო დიდხანს. ეს ცივილიზაცია მიწვდა ინდუსის მდინარეები და მთელი მცირე აზიას და სხვა ქვეყნებსაც და მისი კვალი დღევდის წაუშლელია. გამოჩენილი ამერიკელი მცვლევარი, L. Vooley, რომელმაც პირადად აწარმოვა გათხრები სუმერში და ზედმიწვენით შეისწავლა მრავალი ძეგლი და დოკუმენტი, ამბობს, რომ ჩეენ აღარ ცვეხოვრობო იმ დროში, როცა გვიმტკიცებდნენ, რომ ყოველი ცოდნა და ხელოვნება საბერძნეთიდანაა, ჩეენ გავიგეთ უკვე, რომ საბერძნეოს გენიამ თავის ძალა მოიღო ლიდიელებისა, ხეთელებისა, ფინიკიელებისა და კრიტელებისაგან, ეგვიპტისა და ბაბილონეთისაგან, ხოლო დასაბამი წყარო უფრო შორსაა — სუმერში. Vooley თავის წიგნს სუმერელების შესახებ ასე თავებს: „სამხედრო მონაპოვარი სუმერელების, ხელოვნება და ხელოსნობა, რომელიც მათ ისე მაღლა ასწიეს, მათი სოციალური ორგანიზაცია და ზნეობრივი და სარწმუნოებრივი მცნებანი არ არიან გარიყული შოვლენები, რაღაც არქეოლოგიური ცნობისმოყვარეობის საგნები. ჩეენი საუთარი არსების დიდი წილი სუმერელებისაგანაა, ისინი არიან ჩეენი სულიერი წინაპრები, და ამიტომ ღირსნი არიან შესწავლისა და ღრმა პატივისა ცემისა ჩვენგან“.

სუმერის აღმოსავლეთით მდებარეობდა ელამი, რომელისაც ეცავა სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი დღევანდელი ირანისა, ქალაქ სუზით. ბარში მიწათმოქმედება იყო განვითარებული, ხოლო მთავრებელი უფრო მესაქონლეობა და მონაცირობა. ელამში ჩაუდგა საფუძველი მიღიერდის და საპარსელების ცივილიზაციას. მისი მეფეების პირველ დინასტიას ეხედაც დაახლოებით 2670 წლიდან ძვ. წ. მისი ცხოვრება გადაბმულია სუმერის და აქადის და მერმე ბაბილონ-ასურეთის ისტორიასთან. თავის მეზობელ და მონათესავე ტომებთან ერთად ელამელები თავს ესხმიან მესოპოტამიას, ხან იმარჯვებენ, ხან დამარცხებული სხვისი მორჩილნი ხდებიან. დიდად წარმატებულია ელამი მე-12 ს. მას უკავია ტერიტორია ქვემო ტიგრიდან პერსეპოლისამდე და წარმოადგენს კარგად მოწყობილ მდიდარს სახელმწიფოს, მშენებელი სასახლეებითა და ტაძრებით. შემდეგ ბაბილონეთი დაიმორჩილებს ელამს, მაგრამ ის კვლავ მოიპოვებს დამოუკიდებლობას და საბოლოოდ მარცხდება და გაქრება მე-7-ე საუკუნეში, როცა მიღიერდა გამოსვლა მოხდება.



ფასკუნჯი. ელამელი ქანდაკი.

ელემში წარმოებული გათხრები, ნაშთები ნაშენებისა, ნაპოვნი ნივთები და მრავალი ტაბლეტი, ნათლად მოწმობენ, რომ იქ დაწინაურებული ცხოვრება იყო კარგი მრეწველობით. ელამში არსებობდა ორი ასიას წელზე მეტს და თუმცა განიცდა დოდი გავლენა სუმერის, აკადის და მერმე მამლებელების, მაგრამ თავისებულებით არა მარცხდებოდა მათი მიზანი საუკუნეში, საყუთარი ნასიათი შეინაჩრინა.

ბოლომდის. მან სუმერელებისაგან გაღმოღებული წერის კისტუმაში შეიტანა ორიგინალური ცვლილებანი და თავის პოლიტიკურ თანამდებობის დამყარა ისეთი წესი, რომ საძელო პირს ჯერ დაბალ საშახტრში უნდა დაემტკიცებია თავისი უნარი და მერჩე გამხდარიყო მეფე. შენახული თოვლებისტეზი გვიხატავენ ელაშელთა საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამ, და ქორწინება, რომელიც ხდება ორივე მხარის „სრულის ნებით“; აგ, შვილობის და დამძმობილების აქტი (ყოველი სამოქალაქო აქტი იწერებოდა, როგორც სუმერში): მამა შვილს თუ შვილობ ბილს უანდებდებს თავის ქონებას და პირობას უდებს, სანამ ცოცხალი ვარ, უნდა მარჩინო და რომ მოვავდები, საკურთხო გამიყეთო. დამძმობილების ხელშეკრულებაში აღნუსხულია ძმობილების ქონება და განსაზღვრულია წესი მისი სარგებლობისა და მოხმარის. განჩუქების აქტში გამჩუქებელი იწყებს იმით, რომ არის სრულიად ჭანმთველი და შეუძლია თავისუფლად გამოთქვის თავის ნება. ასევე აცხადებენ ყიდვა-გაყიდვის საბუთში, ყიდვების და გაყიდვების თუ მიწა იყიდება, გარევეოთ უნდა აღინიშნოს მისი ზომა მდებარეობა და ის, თუ რა საბუთით აქვს ის მომოვებული გამყიდველს; ყოველ შემთხვევაში გამყიდველი გარანტის იძლევა, რომ პისუხს აყებს, თუ ვინმე მოღვვე გამოჩნდა. შეიძლებოდა მიწის ქირავობა, დაგრიავება. არის დოკუმენტები სესხის — ვალიდ იღებდნ ხორბალს, ფულს. განსაზღვრულ ვადამდე სესხი უსარგებლოა, ხოლო მერჩე დადი ჯარიმაა დადგენილი. დოკუმენტებში არის გაცვლა-გამოცვლის აქტები, არსებობდა სავაჭრო ამხანაგობანი. ფულით კაცს შეეძლო მხანაგობისთვის გადამცა, ამხანაგობა აწარმოებდა მას რამე საქმეში, რომლის შესრულების შემდეგ ფულს უბრუნებდა პატრონს და ზედ მოგებასც დაურიავდა. სასამართლო ააქმები ირჩეოდა ან არჩეულ მოსამართლების — მედიატორების მიერ ან სახელმწიფო მსაჯულის მიერ. მოწმეებად გამოღიოდნენ ქალებიც.

ელაშური ხელოვნების ნაშთებში განსაკუთრებით საყრდენებო მოხატული ტრამიტა. უძველესი კრამიტა ენათვ-სავება სუმერულს და მისი დამანაბითებელია თეთრ ფონზე შავი ფიფურები, გვომეტრიულ და ცხოველთა ორნამენტებით.

შერმენდელ ნაშთებში კი გზედავთ შეკრატულ შეაც ფერითან ერთაც წითელსაც. სწორ გვომეტრიულ ზაჟების ნაცვლად უსაწილესმაწორო ხახებს, ცხოველებს ნეკლები სტილიზაცია ეტყობათ. არის ცადა რთული კომპიზიციას.

გარდა ჭურჭლებისა, ელაშში ნაპოვნია ტრადიციული ფიგურები დედა ღმერთის, ბეჭდები, რელიეფები, ლითონისაგან გამოქანდაკებული სახეები და სამკაულები.

თუ რამდენად დიდი ფასი ჰქონდა თავის დროს ელაში და მის კულტურას, ამას, სხვათა შორის, ისიც ადამიტურებს, რომ ახემენიდები თავის ძეგლებზე წარწერებს სამს ენაზე აუთვისხინებდნენ — სამასულსა, ელაშურსა და ბაბილონურზე (ბაბილონური მაშინ საერთაშორისო დიპლომატიური ენა იყო).

### პ პ ს ხ 0

ელაშის ზემოთ, ზაგროსის მთებში ცხოვრობდენ კასხები, კასარტები, კასეელები, ბერძნების კასარი, ელაშულების კუსხი, ბაბილონელების კასხი. ისტორიულ ქარტებზე, კასხების მოსახლეობა აღნიშნულია ორ აღავგას: ერთი ელაშთან, ღლევანდელ ბაღდაღის პარალელურად, აღმოსავლეთით, მეორე — უფრო ზევით, ურმის ტბისკენ. ერთგან, კასხების მოსახლეობა ფართოდ ყოფილა გაშლილი. ევროპიულების მუშაობას კასხების საკითხში ძალიან აბრკოლებს ის გარემოება, რომ მთ სასულებით წარმოდგენა არა აქვთ საქართველოსა და მის ისტორიაში, ამ იციან, რომ ღლების არის. დატენირებულ ნაშთი კასხებისა კახეთში. ასევეა მუსხების თუ შესხების ხაკოთშიც.

კასხების სახელი პირველად გვხდება  $2\frac{1}{2}$  ათას წლის წინაში ძ. წ. ერთი ელაშური დოკუმენტი ამბობს, მეფე პეტრე შუშინაგამა დამობრილი კასხებით. შერე იმანი, გამოიწვევებიან 1953 წ. როგორ მოინდობეს ბაბილონების დამოიწვევები, მაგრამ დამასტებინენ. ხოლო ამის შემდეგ ნელ-ნელ დაწყებულ შემოხილება ბაბილონებთში და 1750 წ. მეორედ შეუტის ბაბილონებთ, დამკიტებს და ბატონობდენ იქ 1171 წლამდეს. ბაბილონების ხახელი გამოუცვლეს და დააქვევს კონტინენტურის სამურავისები აბბაბებს, რომ კასხები ბაბიარისები იყვნენ, ფეროვნად კურ შეიგურეს დაყრიბილთა მაღალი კულტურის და

მათ დროს ცენტრალური ხელისუფლება შესუსტდათ. ის კინ რამ კასხებმა გამილოენელუბს აწავლეს პირველად ცხენის მოშენება, (ზანაძე მხოლოდ ვირი იყო იქ გაერტყოფულის და აგრძელებული ცხენის გარეთ) შესუფლეს აგრძელებული წელთაღრიცხვა და დაწესეს ახალი — ყოველი მეფობიდან იუსტიციანი ახალი თვლა წლების. ეს წესი მუსამე საუკუნემდის დასახა. მხატვრულ შემოქმედებაში თვალსაჩინო წარმატება არა სჩანა — შენახულ ძეგლებში მეფეთა ტანაცმელი საქართველოს მდიდარია, თავშე ხურავთ ცოლინდრული გვირგვინი, ფრთხილი მორთული.


კასხების ბატონიბა ბაბილონეთში გაერტყოფა თითქმის იქნება საუკუნეს. მაგრამ, კასხები ამის შემდეგ არ გამქრალონ-მათ მოსახლეობას, გრძელ ზაგროსის მთებისა, ველავთ სხვა—, ვანაც. ფიქრობენ, რომ მდ. ლალისის მარცხნით მობინადრე გასგას ტომი, რომელიც 14-12 ს. ს. ხშირად ხეთას თავსესხ-მოდა, იყო კასხები მე-12 ს. კასხები სჩანან ზემო ეფრატზე და ორი საუკუნის განმავლობაში ომები აქვთ ასურელებთან, მეშვიდე საუკუნიდან, კიმერიელების შემოსევის შემდეგ, ისი-ნი თანდათან ჰქენებიან მცირე აჩიაში და გამოჩნდებიან კა-კასიაში კოლხების და კასხების სახელით.

### III 1 - 30 თანი

კასხების დამხობის შემდეგ ქვემო მესოპოტამიაში, იფ ალდეგა ბაბილონეთის სემიტური სახელმწიფო, რომელიც რამდენიმე საუკუნის მეტად დაიპყრო ძლიერმა ასურებთა. ხელო ვიღრე ეს ამბავი მოხდებოდა, მეორე ათასეულის პირველ საუკუნეში, წინააზიის ისტორიულ სკენაზე გამოვიდნენ ახ-ალი სახელმწიფოები ჰური და მარანი და გამსაუზრუნებით ხე-თა, რომლებიც იყავებენ პირველ აღგიღს.

ჰურების (ქურების, ხურების) და მიტანების ისტორიული ბერი მეტად გადასკვინილი ერთი მეორეზეც. მათ სამინადროის ეძახებულ სუბარეთის (სუბარეთი) და მკვიდრი ცნობილი არიან საერთო, სუბარების სახელით. ჰურებიტანები (სუბარები). ძა-ლიან, ძველი ხალხია და მათი კვალი მესამე ათასეულშიც გვხდება. ზოგი იმასაც ჰურების, რომ ვიღრე, სუმერები და ბიბელებიდან ქვემო მესოპოტამიაში, იქ სუბარები ცხო-

ჭამოდიან მეორე ათასეულში. მაშინ მათ ეკავათ ზეგროსის შეფეხიდან დაწყებული ზემო მესოპოტამია და აღწევდნენ ხმე-ლოსამიუ ზღვიდე.



გ. აზა XVII საუკ.

ცნობილი ორიენტალისტის დელაპორტის შედეგნილ ის-ტოროულ ატლასში, ჰურის ტერიტორია მე-17 ს. ნაჩვენებია ფართოდ — შეიცავს პალესტინას, სირიას, ზემო მესოპოტა-მიას, ვანის და ურმიის რაიონებს და სამხრეთით ჩაღის ბაბი-ლონამდე; ასურეთი გარშემორტყმულია სამი მხრივ ჰურით, როგორც მცირე ნახევარ კუნძული. ხოლო ამავე ატლასის ჩვენებით, მე-14 ს. ჰურის უპყრია მარტო ვანის და ურმიის რაიონები, და მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს მიტანი. ორივე ტერიტორიიდი წინანდელთან შედარებით, მეტად შემცირებულია.

ჰური და მიტანი უნდა იყოს ორი შტო ერთი ტომისა-ჯერფერობით კარგად არა სჩანა, ისინა სულ ერთად იყვნენ და მეთაურობა სახელმწიფოში ხან ერთს ეკუთხნოდა და ხან მე-ორეს. თუ მხოლოდ თავში იყვნენ შეერტყობული და მერმე განკულებულები, თავთავისი სახელმწიფო შექვემნეს. ჰური-მი-

ტარის ისტორია წარმოადგენს ბრძოლებს ეგვიპტესთან, უფრო თავთან და ასურეთთან ჰებებისისათვის. როგორც უკვე მანავისენიერ, მათი ტერიტორია მე-17 ს. ფართოდაა გადაჭიმული. ასურეთი მათი ვასალია, თუმცა მუდამ ურჩიბა. ზემოდან ჩრდილო დასავლეთში მათ საქანონავს ხეთა, რომელიც კერძოდ გადავ ჩრდილშია. ქვეყნი, სირიასა და ქანანის დაკავებით ჰურმიტანი პირდაპირ უძეზობლდება ეგვიპტეს. ეგვიპტე უველაზე უფრო ძლიერი მტერია და აღმად მისი აღავმვის მიზნით მოხდა მე-17 ს. დასაწყისში აკრებოდებული ჰისტორიას შესევა ეგვიპტეში. ამ ჰისტორიას შეადგენდნენ უმთავრესად ქანანის ნომადური ტომები, ხოლო მათი ხელმძღვანელი და წამმართველი იყვნენ ჰურები. ჰისტორიამ დაიყრეს ნაწილი ეგვიპტისა და იქ ბატონობდენ საუკუნეებზე მეტს. ფართონებმა ჰისტორია რომ ეგვიპტიდან გამოდევნენ, უკან დადევნენ და შეიქრენ შორს ჰურ-მიტანის სახელმწიფოში და ომები მრავალ წელს გაგრძელდა. ეგვიპტე ცდილობდა მტრის ცოცხალი ძალის ხელში ჩაგდებას და განადგურებას. მაგრამ მან ეს კერძები აღსანიშნავია რომ ამ ომების დროს ხეთა და ასურეთი თანაგრძნობით და ძლიერით ეგვიპტებოლნენ ეგვიპტის წინსვლას. ომები ბოლოს დაზავებით და დამოყვრებით გათავდა: ზემოსირია დარჩა ჰურს-მიტანს, ქვემოსირია — ეგვიპტეს. ეს მორიგება არსავე მხარესთვის აუცილებელი იყო, რადგან ეგვიპტესაც და ჰურ-მიტანსაც თანდათან გაძლიერდებული ხეთა ემუქრებოდა. ფართონებმა ტუტმეს IV (1420-1405) და მერნიფის III (1405-1370) უოლებად მიტანის მეფეთა ქალები შეირთეს და ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ უგიმტის დედოფლობა უცხოელებს ელირსათ. ფიქრობენ, რომ დედოფალი ნეფერტი, რომლის შესანიშნავი ქანდაკება ბერლინის მუზეუმში ინახება, მიტანელია.

მე-14 ს. ჰურ-მიტანის სახელმწიფოს ასუსტებს შინაური უთანხმოება და ბრძოლები — ტახტის ორი ზემკვიდრე ერთბანეთს ეცილებიან. დავაში ჩაერევა ხეთის მეფე, ერთს ჰურში გამეფებს და მეორეს მარტაში და ორთავესთან კაშტის შეკრავს. ჰურ-მიტანის დასუსტებას გამოიყენებს ასურეთი, რომელიც დამოუკიდებლობას აღიდგენს და ზოგიერთ ადგილებსაც წართმევს თავის ყოფილს სუზერენს. ამ მხრით უფ-

რო მეტს ჰურების აშელავნებს ხეთა, რომელიც ძლიერ გაიზრდება ჰურ-მიტანის ხარჯზე. მე-14 ს. ბოლოს ჰურ-მიტანე ნელებს ეკარებათ ყოველი მნიშვნელობა, მათ ხეთელები შეცვლიან.

ჰურ-მიტანი იყო მემკვიდროებითი მონარქია. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ სამეფო გვარი და მთართველი დასკვნიან, რომ ზოგ მეფეს არის ულიკოტი, ინდო-ეკროპიდები იყვნენ. ამას იქდან არისტორატია, ინდო-ეკროპიდები იყვნენ. ამას იქდან დაასკვნიან, რომ ზოგ მეფეს არის ულიკოტი, სახელი აქვთ. ეს სუს-დასკვნიან, რომ ზოგ მეფეს არის ულიკოტი, საქართველოს ბეკრს მეფეს სპარსული ხარის დასაბუთებაა. საქართველოს ბეკრს მეფეს სპარსული ხელი ერქვა, თამარ მეფის სახელიც ხომ წმინდა ებრაულია, და ეს განა ვისმე საბუთს აძლევს, რომ ისინი ქართველები არ იყვნენ?

ჰურ-მიტანის ტაბლეტები კომერციულ შინაარსისას თათვემის არაფერს შეიცავენ, უფრო ეცებიან სასოფლო მეურნეობის საკითხებს. ცოლის თხოვის დროს სასინო საცოლის მამას ფულს მთართმევს, რომელიც უკანვე უბრუნდება. საცოლო აჩუქებს საქმის ტანისამოსს და ვეგეულობას. დედმამა ქალს მზითევს ატანს. თუ ცოლს შვილები ჰყავს და ქმარი გაეყარა, ქმარი ჯარიმას იხდის და შვილებზე უფლებას ჰერგავს. თუ სხვა ქალი შეირთო და ამისგან შვილები ეყოლა მისი ქონება მისი სიკედილის შემდეგ, მაიც პირველ შვილებს ჩაიებათ. ჩეეულებრივი მოვლენაა გარეშეს შვილობა, ამას მიმართავდნენ ხშირად იმისთვის, რომ გვერდი აეჭრია კანონისაოვის, რომლითაც აკრძალული იყო მამულის გაყიდვა-გადაცემა სხეაზე, გარეშეზე. ამ შემთხვევებში შევილებელი შვილობისაგან საჩუქარს — სასყადელს იღებდა. ვალის სარგებელი ხანდახან 50%-ს აღწევდა. ვალის ასაღებად შეიძლებოდა გრძოლი მიცემა ნივთის და აღამინისაც, აგრეთვე თავდებობაც — ვალდებულობის პირათლიდ შესრულებისათვის. დადებულ ხელშეკრულობაში აღინიშნებოდა, თუ რა საცელოს მოახდიდა პირობის დამრღვეველი. დანაშაულისათვის სასჯელი უმთავრესად ჯარიმაა, ფიზიკური დასჭა იშვიათია. ქურდი იღდიდა ნაქურდალის 24 ჯერ მეტ ლირებულებას.

სარწმუნოება წარმოადგენს ბუნების ძალთა თაყვანის ცემას. მთავარი ღმერთებია თეშებ, ღმერთი ჰექა-ჰუსილის წვიმის და მოსავლის, და ხეპა — ქალღმერთი განაყოფერების,

მსაგასი სუმერულ ინიციატი. თაყვანს სკემდენ სუმერულ ღმერდობაც და ზოგიერთი ასურულისაც.

პურ-მიტანების კულტურის, კერძოდ ხელოვნების, მეტად ძვრისათვის ნაშთებია აღმოჩენილი ამ საუკუნის პირველ მეოთხედში (ტელ-ჰალაფში და სხვ.). შენობათა ნანგრევები, ქანდაკებები; ჩელიეფები, იარაღები, სამკულები, კურჩლები ცხადყოფენ მაღალ განვითარებას, გარეულებულ თავისებურობას და დიდს მხატვრულ წიჭს. პურ-მიტანური სკულპტურა, მოუხედავდ პრიმიტივობისა, ღრმა შთაბეჭდილებას სტოკებს თავის იშვიათი გამომეტყველობით. სასახლის და ტაძრის ნაგვაბობა წარმოადგენს გასაოცარ პარმონიულ შეერთებას არქიტექტურისა და სკულპტურის. *Oppenheim*-ი ამბობს, რომ ხუროთმოძღვრის და მექანდაკის შემოქმედება პირველად სუმარებმა შეავაგმირებს. მისივე თქმით, ტელ-ჰალაფში ჩვენ გვაქვს ბერძნულ-რომაულ ნაწარმოებთა წინამორბედნი და დღევანდელი მნახველიც წმინდა ესტეტურ სიამოვნებას განიცდის ტელ-ჰალაფის ძეგლებისაგან.


ქანდაკებები და ჩელიეფები გვიხატავენ პურ-მიტანების რელიგიის, ზენ-ჩვეულების ყოველდღიური ცხოვრების სრულ სურათს. ჩვენს წინ გადაშლილია მრავალფეროვანი სახეები ღმერთების, დემონების, აღამიანების, აღამიან-ცხოველების, პირუტყვების — შინაურის (ხარის, ძაღლის, კორის) და გარეულის (ლომის, დათვის), ფრინველების (არწივის, სირაქლემასი), სფინქსების და სხვა ზოაპრულ არსებათა (მაგ. ფასუნჯის), გილვამეშის ეპოსის გმირებისა და სხვა.

პურ-მიტანური ხელოვნება ენათესავება სუმერულს და ელამურს. ასურული ხელოვნება არის შეზავება პურ-მიტანურისა და სუმერულის.

### • ३ ० १

პურ-მიტანის მზე რომ ჩაესვენა, ამოვიდა ხეთის მზე. მის ხენებას აღრე ვპოულობთ ეგვიპტეს ძეგლებში, აგრეთვე ასურულში, ბიბლიაში. იგი მდებარეობდა მცირე აზიაში—მდღალისის ჩაიონში. ხეთის ისტორიაში განიჩევა სამი პერიოდი. მესამე თაასეულ წლებში არსებობენ პროტოხეთოლები, რომელიც არ არიან არც სემიტები და არც ინდოევროპიელები.

შე. ამ დროის ძეგლებს ახასიათებს ღრმა თრიკინალობა და ასინი ენათესავებიან სუმერულს და კურტულს ცივილიზაციას. შესაძე ათასულის ბოლობან მცირე აზიას შემოესევიან არა-გლები — ჯერ მცირედ, მერე უფრო მრავლად. მინი დაიპრობენ ხეთის ტერიტორიას, შემოიტანენ თავის ენას (რამდენიდ?) თუ შეცვლიან წმინდა ხეთურს, და როგორც მმართველი კლასი, სათავეში ჩაუდგებიან სახელმწიფოს. ამ პერიოდ-



შ. აზია XIV საუკუნე.

შია, რომ ხეთელები დაიპრობენ ბაბილონს (1800 წ.), თუმცა იქ არ დარჩებიან. ამ დროს სერადა დაარსებული სატახტო ქალაქი ხატუსა (ახლანდელი ბოლაზ-ქო). მესამე პერიოდი იწყება მე-15 ს. მიწურულიდან — ესაა ხნა ხეთის აზალი იმპერიას, რომლის სიძლიერეს საფუძველი დაუდება მეფე სუმერული მამ (1388-47). ხეთის მეფე სარეგებლობის პურ-მიტანის დასუსტებით და დაიკავებს ზემოსირის ნაწილს. ილაშერების მცირე მეზობელ სახელმწიფოების წინააღმდეგ, და შემოიტოვებს მათ. დიპლომატიურ ზომებსაც მიმართავს, ზოგ ხახელშითივაში თავის შვილებს დასვამს სამეფო ტახტზე და ხეთას უზრუნველყოფს ასურეთის აგრძელებისაგან. ახლა მის წინ დგას მხოლოდ ეგვიპტე, ხოლო სუპილულიუმის აზ დასცალ-

და გასთავ შებრძოლება. ამის შესრულება წილად ხვდათ ვინ შემცველრეებს, რომელიც დიდი ხნით ემზადებიან ღმისთვის. პირველი შებრძოლება ხეთის დამარცხებით გათავდება, ეგვიპტურ წარმოებს ხეთის ახალ ადგილებს სირიაში. ხეთ შეაკუთხირებს მცირე აზისი თითქმის ყველა ტოში ეგვიპტის საჭიროამდეგოდ. 1294 წ. მოხდება ისტორიაში განთქმული ბრძოლა კადეში, ფარაონ რამზეს II და ხეთის კაოლიცას შორის. ეს ბრძოლა იმ დროის დოკუმენტებში დაწერილებითაა შეტანილი და სამხედრო სპეციალისტები დღესაც აჩჩივენ და აკრიტიკებენ მას. კადეშის ბრძოლა ფარაონის გამარჯვებით გათავდა, თუმცა არა ისეთის სრულის და ბრწყინვალით, როგორც ამას ეგვიპტის წყაროები ასწერენ.



ხეთის ლეგრი თეშებ

აცხადებს: „რამზესმა, ეგვიპტის დიდმა მეფემ, დასღვა ხელშეკრულება ხეთის დიდ მეფესთან ხატუშელთან, რათა იყოს მათ შორის ძმობა“. ეგვიპტური ტექსტი კი ამბობს: „აი ხელ-

შეკრულება, რომელიც ხეთის დიდმა მეფეზ ხატუშელმა დასღვა ეგვიპტის დიდ მეფეს რამზესთან ძმობის დასაცავად უზრუნველყონას“. ხელშეკრულობაში ეხერავთ სხვათა შორის ასეთს მცხოვრის: თუ ეგვიპტეში ვინმედა ხეთიდან გამოიცემული, ფარაონმა უნდა დაუბრუნოს იგი ხეთის მეფეს, გაგრამ უფრნხელმა არ უნდა დასახოს დაბრუნებული. არც რამე ზიანი მიაყენოს მას და მის ოჯახობას, მაგავს პირობას სდებს ხეთელი მეფე ეგვიპტის ქვეშეკრულობითავთის.

ხელშეკრულების დადებას დამოუკრებაც მოჰყვა ეგვიპტისა და ხეთის: რამზესმა ხატუშელის ქალი შეირთო კოლად.

ხანგრძლივი მებრძანება ხეთის გასტრებს და დაუძლებელებს. ასურეთმა შემოუტრია და სირია წარითავა. ხეთის შემაღებელმა ნაწილებმა დაზუსტეს განდგომა და დამოუკიდებლად ცხოველება. ბოლოს ამას ზედ დარჩო დასაცლეთიდან (თრაკიიდან) ახალი ტომების შემოსუება, რომელმაც ერთიან დაამხო ხეთის იმპერია მე-12 ს. დასაწყისში. ხეთელების ხსნება მაინც მოთლად არ გამგრალა. ისინი დარჩინენ ზემოსირიაში, სადაც შეადგენდნენ რამდენსამე პატარა სამთავროს. ებრძევია ასურელებს და ამ მიზნით ხანდახან უკაშირდებიან ურარტულებს და მუსხებს. მათი ახალებობა სირიაში მე-8 ს. დასაცრულადე გაგრძელდა იქ წინააღ ჰურები ბატონობდენ, სემიტური ტომებიც ცხოვრობდნენ და ეს სამი ელემენტი ერთმანეთს შეერიყნენ.

ხეთის იმპერიას შეიძლება რამოდენადმე კონფედერაციის სახე ქვენდა. ზოგი მეზობელი სახელმწიფო ხეთის მოკავშირეა, ზოგი კიდევ მის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება. ბოლო ხანებში მეფე მოსპობს ვასალებს და მათ აღილზე პროვინციების გამგებლებად დანიშნავს თავის მოხელეებს. მეფეს განუსაზღვრელი უფლება არა აქვა, შეზღუდულია დიდებულთა კრებულით, რომელიც ამავე დროს არის უმაღლესი საბსაჯულო დიდებულების და მეფის გვარულთა დანაშაულის გასარჩევად. მეფეს უწოდებენ „დიდ მეფეს“ და აგრეთვე „ჩემ მშეს“ (ქართული ფაცი „ჩემმა მშემ“). იმ დროის ხერთაშორისო იქმის ძალით, მეფეები რომ ერთმანეთს წერილს მისწერდენ, მხოლოდ ეგვიპტის, მიტანის-ჰურის, კასტის და (მიტანის გაქრობის შემდეგ) ასურეთის მეფეებს

აწოდებოდათ „დიდი მეფეები“ და მხოლოდ მათ შექმლით ერთმანეთისთვის ეწოდებიათ „ჩემი“. ხეთის მეფე არას შეუაძგალი ღმერთებსა და ხალხს შორის, იგია მეთაურა დღიდა რელიგიური ცერემონიებისა, უფროსია და წინამძღვრი ჭარის და უმაღლესი მსაჯული. გამარჯვების შემდეგ ხეთის მეფე შეუბრალებლად არ ეპყრობა დამარცხებულებს, არ ხიცავს მათ — ტკივეებს მხოლოდ და მონებად მოჰყავს სახლში. მეფეს ჰყავს ერთი ცოლი-დედოფლალი, რომელსაც ეწოდება „ტავანნნა“ (დეთის დედა). მას საყვარელებიც ჰყავს, ხოლო მათ დედოფლობა არ ეკუთვნით. სადღესასწაულო გზოს სკელების დროს, დედოფლალი მეფის გვერდითაა. დედოფლალს მეფობა არ შეუძლია, მაგრამ რეგენტობა კი. ის მონაწილეობას იღებს ზოგიერთ საერთაშორისო ხელშეკრულების დადგებაში. თუ დედოფლალი უშვილოა, ტახტის მემკვიდრეობა გადადის მეფის რომელიამე საყვარელის შვილზე.



ხეთური სვეტის ძირი.

დღიებულთა წოდების ქვემოდ არიან თავისუფალნი და მონები. თავისუფალთა კლასს შეადგენენ გაჭრები, ხელოსნები, მიწათმოქმედნი. მიწის საყუთრება კოლექტივურიცა და კერძოც. მეტი წილი მიწისა ეკუთვნის მეფეს. და ტაძრებს.

წეთა მღიდღარი იყო მაღნეულობით და რკინისა და სხვა ლითონების წარმოება მეტად განვითარებული ჰქონდა. თავის ნაწარმოებს ფართოდ აწვდიდა მეზობელ ქვეყნებს. გასაყიდ საქონელის ფასებს აწესებდა კაონი. სამართალი დიდი მფარველობას უწევდა სოფლის მეურნეობას. დანაშაულისათვის სასკელი მეცრი არაა: მეკლელობისთვის 4 კაცის მოცემა ან ფულის გადახდა, ფულითვე ანაზღაურება ჭრილობისათვის. დიდი სასჯელი შინაური პირუტყვის ქურდობისთვის. პირადი შურისმიება ნებადართულია მხოლოდ ერთ შემთხვევაში — თუ ქმარი შეასწრობს კოლს საყვარელთა.

ცოლის თხოვა ხდება ყიდვით ან გატაცებით. აკრძალულია ცოლ-ქრმობა ახლო ნათესავებს შორის. ქალს საზოგადოთ დიდი პატივი აქვს, ის მონაწილეობას იღებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვაჭრობაშიც. კანონი რეტად სასტიკად სჭის, ვინც უპატივებულობას გამოიჩინს ქალის მიმართ და რაიმე, თუნდ მცირე, შეურაცყოფას მიაყენებს ქალს. აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი: მე-14 საუკ. ხეთის მეფე მურსილ მეორე აპრებდა ომს ერთ მეზობელ სახელმწიფოს (სეხსა) წინააღმდეგ. უკანასკენელის მეფის დედა მურსილთან მოვიდა და თხოვა, ნუ შემოესევი ჩვენს ქვეყანასთ. მურსილმაც უარი თქვა გალაშქრებაზე — ქალმა მთხოვა და არ შემიძლია პატივი არ დავდოო.

სარწმუნოებას ისე, როგორც ყველგან ძველ დროში, დიდი აღგრილი უკავია. ეს სარწმუნოება ენათესავება სუმერიულებისას. მთავარი ღმერთებია: თეშუბ — ღიღი ღმერთი, კე-ქაქუნილისა და წვიმის და ღიღი ქალმერთი დედა-მიწა. თრიავე გამოხატავს განაყოფიერებას, გამრავლებას და მოსავალს. მათ გვერდითაა ახალგაზრდა ღმერთი, შეილი დედა-მიწას თუ მისი საყვარელი, კაც-ღმერთები წარმოდგენილი არიან ელვით და ცულით. ხელში, მათი ატრიბუტია კური ხარი, ხოლო ქალრიცხორის ატრიბუტია ხინ ლომი. ხან მტრედი. ხეთის დედა ღმერთი შემდეგში იქცევა იუპიტერად, და ქალ-ღმერთ კიბელად, და მტრედად. მთავარი ღმერთებს შეიღები ჰყავთ — ვაჟები და ქალები. არსებობენ მეორე ხარისხის ღმერთები — მთების ტყეების და სხ. მღვდელ-მსახურინი ექვემდებარებიან განსა-

კუთხებულ წესებს და სასტიკად ისჯებიან, თუ ცუდოდ ასრულებენ თავის მოვალეობას.

გათხრებმა ხეთის დედა ქალაქში და სხვა აღმოლებში აღმოაჩნეს მრავალი ნაშენის ნაშთები— ქალაქთა ზღუდების, ცასახლების, ტაძრების, კოშკების, ციხე-სიმპარებების. აქეთ-ტექტურული მანერა, კედლებისა და კარების მორთულობა, ქანდაკებები, ბარელიეფები, სახეები ღმერთების, მეფეების, აზამიანებისა და ცხოველების, ცხადად მოწმობენ ხეთულების მაღალ მხატვრულ შემოქმედებას, რომელიც ენათესავება სუმერისას და კრიტისას, მაგრამ აღმეცდილია საკუთარი ორგანალური თვისებებით. ასეთივე ხეთური კერამიკა და გლო-რიკა, უეჭველია, რომ ხეთულებს უნდა დაეთმოთ ხელოვნების ისტორიაში ერთი საპატიო აღილთაგანი. ბერძნებმა კერამიკური შეაფასეს ხეთულების მხატვრული ნიჭი და სპეციალისტებს უდავოდ მიაჩინათ ხეთური ხელოვნების გავლენა პერ-ნულობას.

ხეთური ლიტერატურა საქმიად მდიდრულად არის მოყვარული ბოზალ-კოს გათხრებით. აյ არის ანალები, ისტორიული აღწერილობანი, ხელშეკრულობანი ისტორიული შესავ-ლით, წესრიგი მოხელეებისთვის, ოფიციალური წერილები, ეპოსები და მითები, შელოცვები და წინამდებარებები, ასტროლოგია, მღვდელმასხურების წესები, დარიგება ცხენების გასხვენდნა— და.

ხეთების მხატვრული შემოქმედება გაგრძელდა სირიაში, საღაც შათ თავისი ეროვნული აზებობა შეინარჩუნებს და შოთოვება ამ დროს ბევრი საინტერესო ძეგლი, რომელთაც ჰურის გავლენა გადაკრაგს.

### მ უ ს ხ ე

ჩვენ უკვე მოვიხსნით, რომ კასტების დამხმობის შემდეგ ქვემო მესამეოთამიაში აღსდგა ბაბილონეთის სამეფო, რომელიც მერმე ასურეთთა დაიძირო. ასურეთი თონდათან გაიშარდა, დიდ იმპერიად გადაიქცა, წინა აზიაში ჰეგემონია მოიპოვა და ეგვიპტესაც მიწვდა. ჩვენთვის მისი ისტორია საფულოსნითა იმდენად, ასეთიც მის მოპირდაპირებად გამოიიან ზოგები და უზარტელები.

ისტორიასებს დღემდის კრ გადაუწყვეტიათ, თუ რა


ძალამ წააქცია ხეთი. ზოგი ფიქრობს, რომ ეს იყვნენ ბოსფორ-ზე გამოსული მუსხები თუ ფრიგიელები (ზოგისთვის მუსხი და ფრიგიელი ერთი და იგივეა ზოგისთვის — ერთმეორის პონათესავე ტომებია), ზოგი კი ხეთის დამაქცეველად სოველის კასხებს — გასგას, რომელნიც ხეთის ჩრდილო დასავლეთით მინალრობენ და ხშირად თავს ესხმოდენ მას. ასე თუ ისე, ხეთის დაღუპვის შემდეგ, მის ყოფილ ტერიტორიაზე პირველად გამოიჩიდებიან მუსხები და ცოტა უფრო გვიან ტაბალები. ჩვენ მიერ უკვე დასახელებული დელაპორტის ისტორია-ულ ატლასში მუსხების ტერიტორია დაახლოვებით 1100 წელში ფართოდა შემოფარგლული. მას უკავია შეუაღლის და მიმდინარე ნაპირი და დასავლეთით გაწეულია ბოსფორისენ. სხვა ქარტაზე მუსხები აღნიშნული არიან შეუაღლის და სავლეთით და მდ. ეფრატის სათავესთან, აღმოსავლეთით მუსხების კვალი განის რაიონშიც სიანს, რაღვან არარატს მე-ორე სახელიც ეწოდება — მასის, რაიც გულისხმობს მასხებს, მუსხებს.

კვერ კიდევ მე-13 ს. მუსხები გამოდიან როგორც ბერძები ასურეთისა და ხელს უწყობენ მისი მეფის ტუშულტინინურ-ტას დაუძლებულებას. დაახლოვებით 1170 წ. მუსხები თავს ეს-ხმან ზემო ეფრატის მარჯვენა ნაპირებს. ხშირი ბრძოლები აქვს მუსხებთან ასურეთის ძლიერების დამატების ტეგ-ლატ-პალატას (1115-1100). ერთი თავის გალაშქრების შესახებ ეს მეფე ამბობს. რომ ოცი თასი მუსხი და ხუთი მეფე, რომელებიც 50 წლის განმავლობაში ეპყრათ ასურეთის მოხარე ალზი და პურიკიზი და რომელნიც მანამდე ევრავის დამატებისგან იმში და ამაყობდნენ თავის ძლიერებით, — ჩამოვილნენ კუმუშში და მე ისინი ღირსეულად დავხახე ასე-თი უგნურობისათვის.

წყაროები ისტენიებენ მუსხების ბრძოლებს ასურელებ-თან შემდეგ საკუნოებში. მუსხები, როგორც ტახალებიც, რომელისამე სამეფოს თუ სამთავროს შეადგენენ და საჭიროების დროს ერთდებიან, ერთად ებრძევიან მცენრს. ისინი უზრუნველყოფა ეხმარებიან ასურეთის წინააღმდეგ. მათ გალაშქრი-აქვთ, მდიდრულად ცხოვრისტენ, ღვინის დაყვნება იყოს, ში-ნერი საქონელი ბევრი ჰყავთ. კარგად იციან მაღნელობის

დამუშავება და მათი დამუშავებული ჭურჭელი და იარაღ  
შორის ქვეყნებში გავრცეთ.

სამწუხაროდ, მუსხების წარსული მკრთალად არის გარე-  
ვეული. ი. ჯავახიშვილის სიტყვით, გერმანელ მეცნიერებს.  
კ. გელაშვილს და ე. შრადერს ამოქრეფილი აქვთ ასურულ წყა-  
როებიდან ყველა ცნობა მუსხების და ტუბალების. შესახებ-  
ეს ცნობები აქამდის სათანადო გამოყენებული არაა. მუსხ-  
თა — შესხვა საკითხი კი ლიჩისია დიდი ყურადღებისა. ვან  
არიან შესხები? მესხები და ფრიგიელები ერთი და იგივეზო  
არიან თუ ერთი ტომის, ორი ცალფალკე შტო თუ ორი სხვა  
და სხვა ტომია? საიდან მოვიდნენ ისინი მცირე აზიაში — თრა-




ჭ. აზია 1100 ჭ.

კითხან თუ სხვა ადგილობრივი? რა კავშირია ბასხსა და მესხს  
შორის? ჩვენი ისტორიკოსების სიტყვით, მესხი სვანური გა-  
მოთქმა, მეგრულ-ჭანურად იქნება მოსხი, ხოლო ქართულია  
გასხი. შასხი უდრის ბასხს. აფხაზის სახელი იყო ძველია  
— ბასხი (აბასგი), ერთი სირიელი მწერალი აფხაზს უწოდებს.  
ბაზებს, ასე ამგვარად, მესხების საკითხი ძალიან ფართოდ იშ-  
ლება. პირენებს ბასხების წარმოშობაც აშასთანაა დაკავშირე-  
ბული.

გაცილებით უკეთესად არის გამუშებული ასურეთის ახა-  
ლი მოწინააღმდეგის და დიდი მეტოქის ურარტუს ისტორია.  
გარდა ასურულ ძეგლებისა, საჭირო ცნობებს საქმოდ იძ-  
ლევიან ურარტუს ნაწერები (ლურსმული). რომლებიც ჯერ  
მოლად გახსნილი და წაკითხულ არაა. ჩვენ გვაქვს სრული სია  
ურარტუს სუვერენიტეტისა 1½—2 საუკუნის განმავლობაში,  
როცა ურარტუ დიდი როლს თამაშობდა. ურარტუ მდებარე-  
ობდა ეფრატის და ტიგრის სათავებთან, ვანის ტბის, მდ. არა-  
ქსისა და არარატის ჩაითნებში. იგი შესდგებოდა სამი ნაწი-  
ლისაგან: სამხრეთით იყო ნაირის ქვეყანა, მერე ვანი ან ბიანი  
და ჩრდილოეთით ურარტუ. ნაირი, ბიანი და ურარტუ გე-  
ოგრაფიული სახელებია, თვითონ ხალხი თავის თავს ეძახდა  
ქალდის ანუ ხალდის. ასურული წყაროები ჯერ კიდევ მე-14  
ს. ისენიებენ ურარტუს და ნაირის არსებობას. გრძელებული  
ცნობები მე-9 საუკუნიდან მოდის. დაახლოებით 860 წელს  
ურარტუს მეფე იყო არამი, რომლის სახელმწიფო დიდს არა-  
ფერს წარმოადგენდა. ასურეთის ჯარები ჩამდენჯერმე ამარ-  
ცხებენ მის მემკვიდრეებს სარდურისს და ისპუნისს. ურარ-  
ტუს სიძლიერე შექმნა მეფე მენუამ (დაახლოებით 800 წ.).  
მან ყოველი მხრისკენ გაათაროვა სამეფოს საზღვრები და  
სრულიად მოსუსვიტა. ასურეთი მცირე აზიას. ამ დროიდან  
მერვე საუკუნის დასასრულმდე, მთელი ჭინა აზიის ხალხები-  
სათვის დიდი და სახელგანთქმული სახელმწიფო იყო არა  
ასურეთი, არამედ ურარტუ. მენუას ღირსეული მემკვიდრე  
არგასტი გაიწევს ჩრდილოეთისკენ, დამორჩილებს სირიის-  
კენ მცირე სამეფოებს, მიუახლოვდება ურმიას, სამხრეთით  
ასი კილომეტრით-ლა დაშორებული ნინევისა და, ამგვარად,  
გარსშემორტყმის ასურეთს. ამ ჰეგემონობას დაუმკვიდრებს  
თავის შეიარ სარდურს მესამეს (დაახლოებით 750 წ.). ამ  
ძლიერი მეფეების სატახტო ქალაქი მდებარეობს ვანის ტბის  
ნაპირად. ბრძოლა ურარტუსა და ასურეთს შორის ხან ნელღე-  
ბა, ხან მწვავე სახეს იღებს. ჩრდილო სირია გახდა მთავარი  
ველი შებრძოლების, სარდური ამარცხებს ასურელებს და  
უკან ახევინებს. საერთოდ, სარდური დიდი მეომარია და ასუ-

რული წყაროები აღნუსხავენ არა ნაკლებ 27 მთს გალაშქრებისა სხვადასხვა ქვეყნებში. 745 წელს ასურეთის ტახტზე ავიდა ტიგლათ-პალასარი. რომელიც ცდილობს დაცემული სამეფოს აღდგენას. პირდაპირ ვერ შეუტევს ურარტუს და მტრის ძალას მოსინჯავს აღმოსაფლეთთ, ურმისი მხარეს კუნ საკმარის წარწევს წინ, მაგრამ მტრის ვერ ავნებს. პრძოლის ცენტრი ისევ სირიაში იქმნა გადატანილი და აქ ზემო ეფრატის ნაპი-



რუსას, ერომენას ჩვილის ბრინჯაოს ფარი, VI ს. ძ. წ.  
(აღდგენილია)

რებზე ტიგლათ-პალასარი შეეტაკება ურარტუს და მის სირიელ ვასალებს. სასტიკი ბრძოლის შემდეგ, სარდური მარცხდება. ახლა ასურეთის ჭარი პირდაპირ ურარტუს შეექვევა, რიცხვებს ვანის ტბის ნაბირებს და ანადგურებს ქალაქებს. სარდური და მისი მემკვიდრე რუსა განაგრძობენ ომს, მაგრამ

შასწორი თანდათან ასურეთის ფერი იხრება, ასურეთის მდგომარეობას ართულებს ბრძოლა ელამის, ფრიგილების (თუ მუს-ხების) და ტაბალის წინააღმდეგ, ხოლო მას შეელის ის გარემოება, რომ ეერობიდან კავკასიაზე გაღმოვდენ კიმერიელები და საშინლად აკოხრებენ ურარტუს.

ამით სარგებლობს ასურეთის მეფე სარგონი (შარუკენი) და 714 წელს გაილაშქრება ურარტუზე. რუსას ებმარებიან კუმუხის მუსხები და მიდიელთა ზოგი ტომი. სარგონი დაამარცხებს მათ და გაანაგლურებს. რუსა ვერ აიტანს ამ დაამარცხებას და თავს მოიკლავა.

დასრულდა ურარტუს ძლიერება, თუმცა როგორც სახელმწიფო, იგი შემდეგ საუკუნეებშიც ასევბობს. ხან კვლავ ებრძეს ასურეთს, ხან ცდილობს მისთან დამევობრებას. ხოლო არც ასურეთში იარსება დიდხანს. ხანგრძლივმა და მკაცრმა ბრძოლებმა ერთმანეთთან დაასუსტეს ურარტუც და ასურეთიც და სრულიად ჰქიება ორივე ახალი ბაბილონეთის და მიღია-სპარსეთის გამოსვლის გამო მეშვიდე ს. ბოლოს.

სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა შეიძგნდა ურარტუს მატერიალური ცხოვრების ბაზას; მიწათმოქმედება ასევბობდა ბარად, ხოლო მესაქონლეობა-მთებში. განვითარებული იყო ხელოსნობა, სპეციალისტ ხელოსნების დამზადებული ნივთები გრუელდებოდა მთელ სახელმწიფოში და უცხოეთშიც გაძვინდათ. ურარტუში ბევრი თეიშება-ურარტუს ღმერთი ქალაქი იყო, ხოლო ეს ქალაქები მეტ- (ბრინჯაოს ქანდაკება). შილად შეიცავდნენ მიწათმოქმედთა და



შესაქონლეთა მოსახლეობას. ინდივიდუალურ მეურნეობის გარდა იყო სახელმწიფოს და ტაძრების მეურნეობაც, სადაც მუშაობდნენ მონებიც და სამხედრო ტკივები. უსანასკნელებს ფართოდ იყენებდნენ ღიღ საზოგადო სამუშაოზე — ციხეების აშენების, არხების გაუვანის დროს და მაღაროებში.

წინა აზიაში, საერთოდ, დაწინაურებული იყო მეტალურგია, მაგრამ ურარტები იგი განსაკუთრებით განვითარებული იყო, ყველაზე ადრე იქ შემოიღეს რეინის ხმარება. მეცნიერები ურარტეს სთელიან მეტალურგიული ხელოვნებს სამშობლოდ და ამ მხრივ მას დიდი გავლენა ჰქონდა არა მარტო წ. აზის, არამედ ევროპის ქვეყნებზედაც (საბერძნეთშე, იტალიაშე).

ურარტეს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქანდაკებანი ღმერთების, მეფეების, ცხოველების, ჭურჭლები, იარაღები, სამკაულები მოშობენ ურარტელთა მხატვრულ გემოვნებას და ტექნიკურ გამოცდილებას. ურარტელებმა კარგად იცოდნენ ოქროს და ვერცხლის დამუშავება და რეინის და ბრინჯაოს ნაწარმოებთა ოქროთი და ძეირფასი თვლებით მორთვა. მათ დაგვიტოვეს განსაკვითირებელი სიმრავლე ლითონის სხვადასხვა ფერის ნაკეთებისა და ასურეთში ნაპოვნ ნივთების დაღირ წილი ურარტულანა გატაცებული.

კლიფებან ბუნებამ და ქვის სიმდიდრემ ურარტეში ხელი შეუშეო ქვისმთლელობას და აღმშენებლობას განვითარებას. მოელი მხარე მოფენილ იყო მეცნიერ ციხე-სიმაგრეებით, რომელთაც აშენებდნენ მიუვალ აღგილებზე. ურარტეს ტაძრების აჩქირებულის სატორიკოსები უკავშირებენ წინა აზის სხვა ძეველ ხალხების ხუროთმოძღვრებას და მეორეს მხრივ ამტკიცებენ, რომ იქ ვეხდავთ უძველეს ტაძრს ფრინტონით და კოლონადით.

აღსანიშნავია, რომ ურარტეში მოიპოვება მრავალი მთებში ხელოვნურად გამოქვაბული სადგომები, დარბაზები, ოთახები, რელიეფებით მორთული კედლებით. არის აგრეთვე მთებში გაჭრილი გვირაბები.

ურარტელების სახელმწიფო ასე წარმოგვიდგება: მთავარი ღმერთია ქალდი (ხალდ), მერქე თეიშება (პურ-ხეთური თეშუბ) და არდი. ქალდს რამდენიმე გაპიროვნება (იბოსტასი)

უნდა ჰქონდეს. ურარტელები მას წარმოიდგენდნენ მეომარის სახით და აღბათ ამიტომ მის ტაძრის ოქროს ფარით და შებით ჟეამუბდნენ. ასურული წყაროები ასახელებენ ქალდის მეურლებს ქალდმერთს ბაგარტუს. თეიშება იყო ღმერთი ქარიშ-ზალის, აფდარის, ომის, არდი კი—ღმერთი მზისა და უნდა იყოს ქალი. იყვნენ სხვა ღმერთებიც, ნაკლები მნიშვნელობის: ებანი (მიწის), სუინინა (ზღვის, წყლის), არნი (მთის), ხარი (გზების), აირაინი (გამოქვაბულების) და სხვა. ღიღად გავრცელებული იყო კულტი ხისა (ცხოვრების ხისა).

ურარტელებს თავში ჰქონდათ იეროგრაფული წერა, რომელიც ნაკლებად იყო გავრცელებული. მერქე შემოიღეს ლურსმული, იგი გაღმოიტანეს ასურეთიდან, ხოლო შესკვალება და შეუგუეს თავის ენის თვისებებს. მათ ძეგლებზე დარჩენილი წარწერები მოგვითხრობენ აღმშენებლობის საქმებს, გალაშქრებას, მხარეების და ქალაკების დაყრობას, სარწმუნოების ამზებს.

## ლ ღ ღ ღ ღ

ხეთა რომ დაემხო, მე-12 ს. მცირე აზიაში, მის ნანგრევებზე და მახლობლად გაჩნდნენ პატარ-პატარა სახელმწიფოები — კილიკია, პამფილია, კარია, ლიკია, ლიდია, ფრიგია. იაინი მდებარეობდენ ნაწილობრივ ეგეოსის ზღვის ნაპირად და ახლო, და როცა მეორე ათასეულის ბოლო წლებიდან, მცირე აზის დასავლეთის მხარეებში ზერძნოთ კოლონიები გაჩნდა, ამ სახელმწიფოებმა ბერძნთა გავლენა განიცადეს, ხოლო თავის მხრივ, მცირე აზის მცვიდრნიც ღიღს გავლენას აძლენდნენ ბერძნებზე, მათ ცხოვრებასა და კულტურაზე. ულინთა გავლენა უფრო დაეტყო კილიკიას და პამფილიას, სადაც ძევლი მოსახლეობის და ბერძნთა შერევა-შეჭარადონება მოხდა. კარიაშიც ძველი მცირდრინი კონიები, ლელევები და კარიელები ბერძნებმა ზღვის ნაპირებიდან განდევნენ. დასახლებულ სახელმწიფოთა შორის, სტორია გამსაკუთრებით იყრის ლიდიას და ფრიგიას, რომელნიც ერთს დროს მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ მცირე აზიაში.

ლილია მდებარეობდა სმირნის და ედესის ჩაონებში და ზოს დედა ქალაქი იყო სარდი. მე-13 საუკუნეში, ლილის საკუთარი მეფე ჰყავს, რომელიც ვასალია ფრიგიის და, ფრიგია, თავის მხრით ნაწილია ხეთის იმპერიის. ლილიები, ისე როგორც ფრიგიელებიც, მონაწილეობას იღებენ ზემოთმოსებუნებულ კადეშის ბრძოლაში. ლილის ხალხი სამს შტოს შეიცვა — მეონი, ტურსა თუ ტირსენ და სარდანა. ამბობენ, რომ ეტრუსკები ლილიდან გადასახლებული ტირსენები არიან. სახლის ბოლოდროინდელი გათხრები ამჟავნებენ, რომ უნდა იყოს მსგავსება ლილიურსა, ხეთურ და ეტრუსეულ ენებს შორის. გათხრებში ნაპოვნი სამეჯულები და სხვა ნივთები ძლიერ გვანან ეტრუსეულს და ორივე აღმეჭდილია ხეთურ და მესაპოტამიურ გისწრაფებით. ლილიური ლმერთები პილდანს — აპოლონი, არტიმესა — არტემიდა, ბაქის-ბახუსი, არამან — ლერმესი (პერმესი) გვეუბნებიან, რომ ლილიელებმა და აზიის ბერძნებმა ანატოლიის საერთო ფონდიდან აიღეს ეს სახელები.


ხეთის მოსკობის შემდეგ, ლილია ფრიგიას ჩამოშორდა და მას მართავდა ხეთური დინასტია, რომლის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო (მე-7 ს.) მირსილოს. ის ცნობილია უფრო კანდავლის სახელით. კანდავლი ტახტიდან გადააგდო და მის მაგიერ გამეფლა გრგეს (გვრგო, გვიგოს, გუგუ), რომელმაც გააძლიერა ლილია და დიდი სახელი გაუთქვა, განსაკუთრებით ელინთა შორის. მისი ტერიტორია შეიცავდა მცირე აზიის დიდს ნაწილს, დალისის მდინარემდე და სამხრეთით თითქმის სირიის საზღვრამდე. მის დროს ლილია ფრიგია აყვავებული იყო ეკონომიურად: ლილიელები დიდი მრეწველი და ვეკარი ხალხი იყვენ. ლილია შუამავალია ელინთა სამყაროს და მესოპოტამიის შორის. გიგესი მეგობრობს ასურეთს, ხარქაც აძლევს მას. ამავე დროს დიდს შესაწირავებს უგზავნის დელფის ტაძარს. წონასწორობას იცავს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შეუა. მის მდგომარეობას ერთიან შეარყევს კიმერიელების შემოსევა, რომელიც დაბინავდებიან. დალისის შე-

\* შეიძლება ეს ლილიური არმასი არის ჩენია არმასი და წარმოშობილია ორივე ქრის ძირიდან. ეს საკითხი მითითხოვს სხვეცალურ შესწავლას. ცალფა, არმაზი არა ირანის აცურა-მანდა (ომაზზი), როგორც ჩენი ამირანი არაა დაკავშირებული არიმანთან (ანგრო-მა ნაუ).

საჩთავთან და ირგვლივ ქალაქებს და სოფლებს ანადგურებენ. გიგესი შეებრძოლება მათ და ამარცებს 663 წ. კიმერიელები შემდეგ წელს მაინც თავს დაესხმიან და გოგესი იღუპება ბრძოლის უელზე. კიმერიელები აოხეებენ ლილის, მაგრამ დიდხანს არ შეტანებათ

გამარჯვება. ჯერ ასურელებმა და მერმე სკითებმა სრულებით გარეკეს ისინი მცირე ბინილან. ლილია ისევ ფეხზე ჭამოდგა და კრეზოსის დროს (561—546) უმდიდრეს მხარედ ითვლებოდა. კრეზოსის სუფრა და ჯიბე უხვად მას-პინძლობდა ელინებს. მის კარზე ვხედავთ გამოჩენილ ბერძნებს თალესს, ეზოსს, სოლომის და სხ. კრეზოს ფართოდ ეხმარება ბერძნის ქალაქებს ელადაში და ამავე დროს მცირე აზიაში ბერძნენთ კალონიებს ზოგს შემოიტებს, ზოგს მოხარეელ გაიხდის, ზოგს კიდევ თავის საკომერციო კანტროლს დაუმორჩილებს. ფრიგიაც კი, რომელიც ერთ დროს მისი სუზერენი იყო, ახლა თავის გასალად გაიხადა. საბრდი აიგოს ოქროთი და საერთაშორისო ბანებდ გადაიქცა. ინდუსტრიაც ძლიერ განვითარდა. ესეთი სიმღიდრე იყო საუბედუროდ მთავარი მიზეზი მიღის გადამტერებისა, ორივე მხარე დიდიხანია ირაზმებოდენ ერთმეორის წინამდევ. კრეზოსი პირველი დაეტყა მიღიას, დამარცხდა და ტყველ ჩაუვარდა.

ტახტის ბრინჯაოს ფეხი.  
ურარტუ



კიროსს, გარდაიცვალა 525 წ.. ლიდია და მთელი ანატოლია სპარსეთ-მიდის ხელში გადავიდა.

უცხელია, ისეთ მაღალულტურულ ხალხს, როგორიც ლიდიელები იყვნენ, მდიდარი მწერლობა ექნებოდა. ყოფილი დაწერილებით დაწერილი ისტორიაც ლიდიისა. სამწუხარილ, ჩვენმდის ამის არაფერი ჟენახულა. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერბით მოგვეპოვება ბოლო დროს აღმოჩენილ ძეგლებზე დაჩჩინილი ლიდიურ ტექსტების ნაწყვეტები. მოვიტან ზოგიერთებს, რომ ცირკოლენი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ხალხის ყოფაცხოვრების შესახებ. ერთი ნაწყვეტი ამბობს: ქალაქ სარდის დემი იღებს სარდის მოქალაქედ ქალ. მილეთის მკედრს, ვინმე მერმანდს და ეს უკანასკნელი ფიცის სდებს, რომ დაქმორჩილება კანონებს, არ მიმართავს ძალადობს, პატივით მოეპყრობა არტემიდის ტაძრის ინტერესებს, დაიცავს მის ქონებას, პატივისა სცემს ბაზუსის და პერმების ქურუმებს. მეორე შეიცავს მიწის გაყოფას ძმებს შორის და თავდება ასე: და იყოს ამის მოწამე ამომავალი მზეო“. მესამეზე სწერია: სიპალა, სარის ასული, მიწას სწირავს ტაძარს და ქურუმნი ამისათვის უწოდებენ მას „უკეთეს ტაძრის ლიდიელ და უცხოელ მსახურა შორის“. ერთი საფლავის ქვის წარწერა აუწყებს ყველას: „იყოს ქურათხეულ, ვინც არ დააზიანებს ამ საფლავს“. მეორესი: „ვინც ჩემს გამოხატულებას მარმარილოზე და ჩემს ქონებას გაიტაცებს, არტემიდიამ მოსპოს იგი, მისი სახლკარი და ყოველი ქონებული მისი“.

### ფ რ ი ბ ი ბ

ლიდიის აღმოსავლეთით მდებარეობდა ფრიგია. ისტორიუსები ფიქრობენ, რომ მისი მოსახლეობა სხვა და სხვა დროს არმოდენიმე წყებად გადმოსული თრაკიელები იყვნენ. ზოგნი მათ უნათესავებენ მუსხებს. ხეთის დაქცევის შემდეგ, ფრიგიელები ხეთელებს შეერივნენ, საფიქრებელია. ფრიგიელები, ისე როგორც კარიელები და პელასვები, პომიროსის ილიადაში მოხსენბულნი არიან პრიაშის მოკავშირებად\*) და

\* პომირისი განასხავებს ტროათელებს ფრიგელებისაგან, ხოლო ევრიადეს ტრაგდიებში ტროათელები თავის თავს უწოდებენ ფრიგიელებს და ბარბარისებს (ბარბაროსი-არა ელინი).

პრიაშის ცოლი, დეკუბა ფრიგელი ქალი იყო. ფრიგიის შეფეხების სახელი ყოველთვის ან გორგიოს იყო ან მიდას (მიტა), ამბობენ, ეს უკინააუნელი მიტანელებისაგან პქონდათ. ფრიგიის ორი მტერი ჰყავდა — ლიდია და ასურეთი. კიმერიელებმაც ბერად დააზიანეს ფრიგიელები, მაგრამ თავისი ეროვნული არსებობა სპარსელების გამატონებამდე შეინარჩუნეს.

ფრიგიელების ტომობრივი ვინაობის გამარტვევად საყურადღებოა მათი სარწმუნოებრივი შეხედულებანი. მიწის ლეგენდები არიან პირველ ადგილზე, მა (კაბელა), დედა ლეგრითი ნანა, საყვარელი თავის შეილის ატისის — განაყოფერების. ლეგრითის, მენ—მთვარის ლმრეთი, დოონიშოს, რომლის კულტი საბერძნეთში ფრიგიიდან გადავიდა. ფრიგიის ერთი მდინარის ლეგრის სახელად ნანა პქეია, ხოლო ქვენის შეფეხელი — ი-ი, რაც ნიშნავს ის. ეს რომლენიმე დამახასიათებელი ფაქტი, რასაკვირველია, საკმა არა. ფრიგიელების ჩამომავლობის საყითხის გადასაჭრელად, მაგრამ ეს გვიჩვენებს, თუ რა გზით უნდა წარიმართოს კვლევა-ძიება.

ძალაუნებურად იძალება ქითხვა: იმ შორეულ დროში, როცა ისტორიულ სარბიელზე მოქმედებდენ ზემოთმოხსენებული ტამები, რა იყო კავკასიაში, რას წარმოადგენდა ის მხარე. სადაც მერმე გაჩნდა საქართველო? 25-30 წ. წინად ქართველი ისტორიკოსები პიფქრობდენ, რომ ქართველურ ტომების გამოჩენა კავკასიაში იწყება მე-8-7 ს. ძვ. წ. უკანასკნელ დროს საქართველოში წარმოებულმა გათხრებმა ერთიან გადამრუნა ეს შემეცნება და ახლა მტკიცება. რომ ქართველური ტომები სამხრეთ კავკასიაში უკვე მესამე ათასეულ წლებიდან ბინაძრობდენ. უთვალავი ნაპოვნი ნივთი—ოქროვერცხლის, სპილენძის, რინის, თიხის, ქვის—ქურჭლები, ასრულები, სამკაულები და სხ. ნათლად მოწმობენ, რომ სამხრეთ კავკასიაში, ამ შორეულ დროიდან მეტალურგიისა და კერამიკის განვითარებული წარმოება არსებობდა, რომელსაც მსგავსება აქეს მესპოტამიისა და მცირე აზიის კულტურასთან. აღმოჩენილი ნივთები ამტკიცებენ, რომ სამხრეთ კავკასია ახლო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა პქონდა წინა აზის ქვეყნებთან. რომელი ქართველური თუ იაფეთური ტომები იყვნენ პინადარნი კავკასიაში და

რომელი მოვიდნენ შემდეგ, როგორ მოხდა ტომების შერევა. მათი ქართულაცია, საქართველოს წარმოშობა—ეს სხვა საგან-ნია და იგი არ შეადგენს ამ წიგნის თემას.

ამით ამოვწურავთ წინა აზის იმ ტომებისა და ხალხების მიმოხილვას, რომელთაც კავშირი აქვთ ჩვენი კვლევის საგან-თან. ჩვენ შევეხეთ იმათ ცხოვრებას და მოქმედებას, ძალიან მოკლედ, მკრთალად, ზოგადად. მათი შესწავლის დღევანდველი მდგრამარეობა მეტის საშუალებას არ გვაძლევს. მოვა დრო, როცა ამ ხალხების ისტორია ისევე ვრცლად, დალაგებით და სრულად იქნება დაწერილი და ფართოდ გაფრცელებული. როგორცაა ეგვიპტის, საბერძნეთის, რომის და შეიძლება უკეთესადაც. ახლა დავვიმაყოფილდეთ იმით, რაც გვაქვს. შეიძლება ჩვენი საგნისთვის საინტერესო ტომების რიცხვი, მარტო წინა აზის საზღვრებით არ შემოიფარგლება, ამაზე ქვემოდ ვიღლაპარაკებთ. ჯერ კი გავარკვიოთ, ვინ არიან ეს სუ-შერელები, ელამელები, ჰურ-მიტანელები, ხეთელები, კასხები, მუსხები, ურარტელები, ლიდიელები, ფრიგიელები? რა კავშირი აქვთ მათ ქართველთა მოდგმასთან?

ცველა ჩვენ მიერ განხილულ ხალხს, ევროპიელ-ამერიკული ისტორიულსები — ფრანგები კერძოდ — უწოდებენ აზიანიკებს. ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი Contenau ასე განმარტავს ამ სახელს: აზიატიკ ნიშნავს საზოგადოდ აზის ყოველ მკილარს, აზიატია — სამარყანდის და ბუხარის მცხოვრები, ხოლო აზიანიკები არიან ის ხალხები დასავლეთ აზისა, რომელიც რასულად არც სემიტებს ეჭუთენიან და არც ინდო-ევროპიელებს. მიუნხენის პროფესორმა პომელმა დაარქვა ამ ხალხებს საერთოდ ალაზნიდებულები (ალაზნიდი, ბერძნულად დამახანგებული ურარტუ-არარატია). გერმანელმა მკვლევარმა ვიტტშა შემოიღო მათვეის სახელწოდება კასიო-ლები (სიტუის კავკასიის ბოლო ნაწილის მიხედვით). საბჭოთა მეცნიერმა, ჩვენმა თანამემამულე ნ. მარმა, რომელმაც პირველმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ ხალხთა ეთნურ თავა-სებურებას და მათ ნათესავობას წმინდა კავკასიელებთან, შექმნა მათვეის სახელი იაფეთიდები, იაფეთიანები.

ცხადია, ცველა ეს სახელწოდება ხელოვნურია და ამას იძლენი მნიშვნელობა არა აქვს. რა სახელიც არ უნდა ვუწოდოთ, ფაქტი ისაა, რომ წინა აზის პირვანდელი მკვიდრნი წარმოადგენენ ერთს განსაკუთრებულ ოჯახს, სრულებით გან-სხვაებულს სემიტურისა და ინდო-ევროპიულისაგან.

ქერძოდ, სუმერიელების არასემიტობა და არაარიელობა არავისთვის საუკუო არაა. ამ 70 წ. წინად ჯერ კიდევ ფრანგმა არქეოლოგმა ლენორმანმა გამოიტვა აზრი, რომ სუმერული ენა ქართულის ნათესავია. პომელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა კავკასიის ერებს და მათ ენებს წინა აზის ნათესაობის პრობლემის გადასაჭრელად. საზოგადოდ დღე-

ვანდელი მეცნიერების უმეტესობა (როგორც უცხოეთის ისე საბჭოთა კავშირის) აღიარებს, რომ სუმეტელები აზიანიკები არიან და მათი ენა აზიანიკერია, იაფეთურია\*).

ყველა დარწმუნებულია, რომ ელამელები აზიანიკთა ოჯახისა და ელამური ენა ეკუთვნის იმავე ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნიან დანარჩენ წინა აზიის მკვიდრთა ენები, და რომლის აწინდელ წარმომადგენლებად მიაჩნიათ კავკასიური ცოცხალი ენები. ჰურ-მიტანურ ენის დოკუმენტი ჯერ-ჯერობით ცოტაა აღმოჩენილი; რაც არის, ამის მიხედვით მეცნიერები დასკვნიან, რომ ეს ენა პგავს კავკასიურს, სახელმობრ ქართულს და 9-8 ს. ს. ურარტუს ენა ჰურ-მიტანურის ნათესავია. ქართველ ტომთა გერთიანებას, აღმოსავლეთ ამ.-კავკასიაში ბერძნები პირველად ეძახდენ სასპერებს, ხოლო მეოთხე საუკუნიდან ძვ. წ. — იძერებს. ჩვენი ისტორიულსები ფიქრობენ, რომ სასერი, ძველი სუბარისაგანაა წამომდგარი.

ხეთაში მეცნიერები განარჩევენ ძველს ხეთურს და მეტად დამენცულ ხეთურს. პირველის შესახებ, აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს — იგი აზიანიკურია ანუ კავკასიური. მეორე, მეტმინდელი ხეთურის შესახებ, ზოგნი ღრუბწნის (ვენის და მერე პრაგის პროფესორი) მეთაურობით ფიქრობენ, რომ ეს ენა გაინდო — ეკრაპიულებულია თავის გარამატიკით, თუ ლექსიკონით არა. მათი არგუმენტაცია მაინცა და მაინც დამაჯერებელი არაა. ით ასეთი კურიოზი: ხეთურად მუ უდრის ფრანგულ თი — სო და wesch — ინგლისურს (ვაინენ). გავრამ არა ნაკლებს უფლებით უდგება ეს სიტყვები ქართულს მე-ს და ჩვენ-ს. სხვები ახალ ხეთურსაც აზიანიკურად სთვლიან. არიან ისეთებიც, რომლებიც მას უნგრუ-ფრანგურს დადარებენ. ზოგი კიდევ იმას ამბობს, რომ ეს ენა გამოყოფილია ენათა ოჯახიდან, ვიდრე ინდო-ეკრაპიული გამოიყოფებოდათ. ყოველ შემთხვევაში, ეს აზრთა წინამდევობა ხეთურ ენის შესახებ არ ცვლის ხეთელების ეთნურ ნათესავობას სხვა აზიანიკებთან. თუ მხედველობაში მივიღებთ სხვა ეთნურ ელემენტებს (სარწმუნოებას, ხელოვნებას, ფიზიკურ

მოყვანილობას), თუ მეორე ათასეულ წლების დასაწყისში არიელები შეესივნენ ხეთელებს, ეს არ იყო გადამწყვეტი მომენტი ხეთელთა დიდი ცივილიზაციის — შემოსეული ინდოეკრაპიელები მაშინ ნახევრად ველურები იყვნენ, თვითონ ხეთის მკვიდრის კა საკმაოდ დაწინაურებულია კულტურულად; და თუ ხეთის სეთი პოლიტიკური და კულტურული სიმაღლე გამოიჩინა, ეს წმინდა ხეთურ ტომის წყალობით და არა მოსულ არიელების.

არაფერს ვიტყვით კასხების და მუსხების შესახებ, რადგან მათი ვინაობის საკითხი ქართველებისათვის საღავო და საძიებელი არაა: კასხი — კახი და მუსხი — მესხი დღემდის ცოცხალი ნაწილია ქართველი ერისა.

დასავლეთ მცირე აზიის ტომების: კარის, ლიკიის, ლიდიის და ფრიგიის ენების დოკუმენტები მეტად მცირეა შენახული. მაგრამ ეს ენებიც იმავე ოჯახს უკუთნიან, ძველი დროის მცირნებია მატიბენ, რომ საერთოდ მთელი მცირე აზია და მასთან ხეთაც დასახლებული იყო ერთი ეთნური ოჯახის ხალხებით. ამ მდგრამარეობის აზებითი შეცვლა ბერძენთა კალონიების გავლენას არ შეეძლო. ტომების ნათესავობას მარტო ენობრივი ნიშნები არ აცხადებენ. დოდი მნიშვნელობა აქვს სარწმუნოებას, ხელოვნებას, ადგილების სახელებს. მკელევარებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება იმ გახემოებას, რომ მცირე აზიის გეოგრაფიული სახელების დაბოლოვება დოსტ, ისტა, ისტა, ესტა, ისტა, სტა, ანდა, ინდა, ენდა სრულებით არ შეეფერებოდა ბერძნულს. ეს სახელები იგავია, რაც ქართული ჯვარისა, ლომისა, ქუთაისი, დმანისი, გურიანთა, ბიჭვინთა, მცირე აზიაში და საქართველოში გვეკვება გეოგრაფიული სახელები „ეთი“-ს დაბოლოვებით. ვხედავთ ერთსა და იმავე სახელებსაც: ლორი, ქუთაისა, განგრა, გორდი, მოსიხოს, მისტია, თიანითის, ქობულათუს, ხონი, სანგორ და სხვას მცირე აზიაში, ხოლო საქართველოში: ლორი, ქუთაისი, გაგრა, გორდი, მოხისი, მესტა, თიანეთი, ქობულათუს, ხონი, სამგორ და სხვას მცირე აზიაში, ხოლო საქართველოში: ლორი, ქუთაისი, გაგრა, გორდი, მოხისი, მესტა, თიანეთი, ქობულათუს, ხონი, სამგორ და სხვა. ფრიგიაში მთას, საღაც კიბელის (მა—ს) სალოცავი იყო, დინდიმას ეძახდნენ. უცხოელებს ვერ აუსწიოთ ამ სიტყვის ძირი, ეს კი ადვილია ქართულ-მეგრულ:

\* არსებობს ქართულისა და სუმეტელის მსგავსი სიტყვების ლექსიკონი.

შემწეობით: დინდი მეგრულად დიდი, დინდიმა — დიდი მა (კიბელა). ამისთანა მაგალითი ბევრი შეიძლება მოვიტანოთ.

როგორც ვთქვით, სუმერულების და სხვა იაფეთიანების (აზიანიკების) პანთეონი ჯერჯერობით სრულად გარევული არა, ხოლო რაც ვიცით, ისიც გვიჩვენებს, რომ წინა აზიას ღმერთები ერთ-მერის ენათესავებიან და ხანდახან სახელებიც ერთნაირი აქვთ. აღსანიშნავია, ყველა ტომში გაბატონებული კულტი განაყოფირებისა და აღმოცენების (საქართველოში, მაგალითად სვანეთში), ღღლებისა მის კვალი), კულტი ცხოველების (ხარის) და განსაკუთრებით ყველგან დიდად პატივულებისა დიდი დედა, დედა ღმერთი, დედა მოწა, რომლის ნაშთი შენახულია ფშვეოთში. უნდა გვახსოვდეს, რომ რასაც ახლა ქართველები მიწას ვეძახით, ამას ძველად ეძახენ ქვეყანას (ქვეყნის მოქმედი — მიწათმოქმედი) და დედო მიწა კი გამოხატავდა მიწის ღვთავბას. უკველია, ქართული სიმღერის — ალალე, არალე გამოძახილია. სუმერის არალუს (ეს საიქიოს ნიშნავდა, მაგრამ შეიძლება საიქიოს სულთაც): გვაქვს ქართულად თარი-ალალე, თარი — სვანურად არის მთავარი, მაშასადამე თარი-ალალე — მთავარი ალალე (არა-



ა. სუმერული ქანდაკება, სადაფზე ამოჭრილი.  
ბ. ქართული ქანდაკება, ქუთაისის ბაგრატის ტაძრის სვეტის თაგზე.

ლუ). ქართული მატიანე ქართველთა კერძებად ასახელებს ანინას და დანანას, რაც უთულდ იავეტური საერთო პანთეონის ანარეველია. შეიძლება ისიც, რომ ქართველთა განმანათლებელის ნინოს (ნინას) და მირიან შეფის კოლის ნანას

სახელებიც ამავე პანთეონის გამოხმაურება იყოს. ქართულ პანთეონში, მთვარე მთავარი ღმერთია, ასე იყო კარიაში და ფრიგიაში. ჩევშში ტარისის და მეხის ღმერთია კები (კობი) — იგი მოგვაცნებს ხეთულების თეშუბს — ელვა-ქუხილის ღმერთს. ქართული „ღმერთი“ ერთ-ერთ ღვთავის საკუთარია



ტასკუნჯი (შურ-მიტანური, სუბარული რელიეფი)

სახელი იყო, მერე გახდა საზოგადო სახელი. შეიძლება „ლე-რთი“ ელამურ ღმერთ ქალის ლაგამარ, ლალმარის ნათე სუს იყოს. ძველ დროში, მზეს ქართულად არდი ერქა, ქალები რაღაც არდი მზეა. ქართული კალენდრით, სამშაბათი

დღე თასას, ტერკინის, ხეთურად ტარკუ, ტარხონ ომის ღმერთია. ქართულ კერძის ზაფხულ აგრეთვე უნათესავებენ ხეთურს შეცნარეულობის ღმერთს სანდანს (სანტის).

ისტორიკოსები თითქმის ერთხმად ოიარებენ, რომ წინა აზიის ტომების ხელოვნებას ერთი ბეჭედი აზის, კველის ერთი მოდელი აქვს წინ — სუმერული. აյე მაგალითად, სუმერის დიდი მცოდნე Vooley სწერს, რომ სუმერის ცივილიზაციის კვალი და გავლენა ნათლად სჩანს მთელ მცირე აზიაში. ამასკე ამბობს Contentau და, კერძოდ, სუმერულ ხელოვნების გავრცელების გამო წინა აზიაში გამოიწვამს



ფასკუნჯი (ქართული ქანდაკება მე-11 საუკ.)

სრულიად ჭეშმარიტს აზრს, რომ ერთი ხალხი ბაძაგს მეორეს და გაადაქს მისი ხელოვნება, თუ მათ შორის ეთნური ნათელებით გამოწვეული სულიერი ერთობაა. „მთელი წინა აზიის აზიანიკური საერთო ფონდია იმს მიზეზი. — განაგრძობს ფრანგი ორიენტალისტი — რომ ისე ფართოდ გაიშალა იქ ის ხელოვნება, რომელსაც უწოდებენ მესოპოტამურს ან

დასავლეთ აზიურს და რომლის საფუძველია სუმერული ხელოვნება“.

ეს ხელოვნება ღილანის ყვავოდა მცირე აზიაში, სადაც მას ასახიროვებდა აზიანიკების ეთნური ერთობა, როცა თვით მესოპოტამიაში მას დავკარგა ფასი მას შემდეგ, რაც იქ გაბატონდნენ სემიტები.

„მთელი სამი თაასი წლის მანძილზე — ამბობს იგივე ავტორი — დასავლეთ აზიის ხელოვნება, მიუხედავად მრავალი განსაცელისა და ტრანსფორმაციისა, არასოდეს იყიშებდა თავის წყაროს, საიდანაც წარმოიშვა, — სუმერულს ხელოვნებას“.

ჩვენ გადავავლეთ თვალი წინა აზიის ისტორიის, დაახლოვებით ოთხი ათასი წლის მანძილზე. იქ ვხედავთ თავიდან იმ ხალხთა მოდგრას, რომელსაც აზიანიკებს, ალაროდიელებს, იაფეთიანებს ეძახიან. მათ ჩაუდევს საფუძველი წინა აზიის დიდს ცივილიზაციას და მერმეც იღებენ დიდს მონაწილეობას მის განვითარებაში და პოლიტიკურადაც ფართო აქტივურს როლუ თამაშობდენ მეექვსე საუკუნეების ძვ. წ. მათ წინააღმდეგ და მათთან პარალელურად მესამე თასეულიდან გამოღან სემიტები (აკადი, ბაბილონეთი, ასურეთი) და შემდეგ ინდოევროპიელები. ამათაც, რასაკვირველია, თვალსაჩინო წვლილი შეატანეს წინა აზიის ცივილიზაციაში, ხოლო წონა, ღირებულება და მნიშვნელობა იაფეთიანთა ნამუშევარისა და გაფეხურებულისა გცილებით მეტია.

წინა აზიის (შეიძლება კისტართ მოდერნული სიტყვა, ან ანტონიავლეთის) ცივილიზაციის ფასი ჭერ კიდევ ხასებით შესწავლილი და შეგნებული არაა. ეს კიდევ წინაა, შეიძლება უცდის იმ დროს, როცა მდიდარი საბუთები და ძეგლები იქნება ახსნილი და გაღაშლილი. უკვე გაგაცანთ ჩიკაგოს პროფესორის შეირას აზრი, რომ წინა აზიის გათხრები ბევრს საკარიველებას აღმოგებინენ. აღვნიშნავთ მეორე მერიკელის ვილ დიურანის (ავტორია მრავალტომიან „ცივილიზაციის ისტორიის“) შეხელულებას: „წერილობითი ისტორია აღწევს ექვს ათასს წელს, არა ნაცლებს. მათ ხნის ნახევრის გამავლებაში, ადამიანთა საქმეების ცენტრი იყო ახლო აღმოსავლეთი... მთელი ჩვენი ცივილიზაცია, ევროპიული და ამე-

რიცული, მისგან გვაქვს მიღებული, ჯერ კრიტიკების და მერე საბერძნების და რომის მაშუალობით. არიელებს არ შეუქმნიათ ცივილიზაცია, იგი გადმილის მესოპოტამიისა და ეგვიპტისაგან. მით უფრო არ დაუწყის ცივილიზაცია საბერძნებთს. მას ამ დარგში მეტი აქვს მიღებული, ვადრე მოცუმული. საბერძნებით ბელნიერა მემკვიდრე იყო, რომელმაც ისარგებლა ძეველი — სამი ათასი წლის ხელოვნება და ცოდნა, მის ქალქებში შემოტანილი შემთხვევით ან ომების შემწეობით. ჩვენ რომ ახლო აღმოსავლეთს ვეცნობით და პატივს მიყავებთ, მხოლოდ ვალს უხდით ევროპისა და ამერიკას ცივილიზაციის ჰეშმარიტს დამარსებელთ“.

კილაპარაკეთ წინა აზის ხალხებზე. იაფეთიანთა მოდგმის საკითხი ძალაუნებურად იწვევს ფარგლების გაწევას წინა აზის გარედ, რადგან მისი ეჭალი სხვაგანაც ცხადდება. გადავიხდოთ დასავლეთისაკენ, ევროპისაკენ. ძეველ ბერძნებში გარდმოცემა არსებობდა, რომ ვიდრე ბერძნები მოვიტოდნენ, სულ სხვა ხალხი ცხოვრობდა იქ, რომელსაც პელასგებს უწოდებდენ. მკელევარის ყურადღებას იქცევდა ის გარემოება, რომ ბევრი ბურძნული სიტყვის ძირი ბერძნული არა, რომ მსგავსად მცირე აზისა, საბერძნებში ზოგი ადგილის ხახელი ბოლოვდებოდა ასის და იდა -თი. ელინისტებს უცნაურად ეჩვენებოდათ აგრეთვე ბერძნების სახელები. არქეოლოგებს დიდი მასალა მისცა ეგვიპტის კუნძულებზე, განსაკუთრებით კრიტის კუნძულზე წარმოებულმა გათხრებმა გამოიკვა, რომ კრიტზე და ეგვიპტის სხვა კუნძულებზე მესამე ათასეულ წლებიდან არსებობდა სრულიად თავისებური მდიდარი კულტურა, რომელსაც ლღეს უწოდებენ ეგვიპტის ან კრიტის ცივილიზაციას, რადგან საუკეთესო ნაშთებს ამ ცივილიზაციისას გვაძლევს კუნძული კრიტი. კრიტის ცივილიზაცია ყვავოდა განსაკუთრებით მეორე ათასეულ წლებში, 1400 წლამდის. კრიტი წარმოადგენდა მშვენიერად, პოლიტიკურად და სოციალურად მოწყობილს სახელმწიფოს. ეკონომიკური ცხოვრება იყო მაღალ ლონგზე — ლითონის წარმოებით, მხატვრული კერამიკით, ქსოვილებით. ფართოდ იყო განვითარებული ვაჭრობა და კრიტი გვევლინება ისტორიაში პირველ

სახლვათ სახელმწიფოდ თავის წარმატებულ ფლოტით. საბლები შენდებოდა დიდი არქიტექტურული გამოცდილებით, რომელიც ითვალისწინებდა ერთსა და მაღავე დროს. სიამოვნებას — სინათლის და ჩრდილის განაწილებით, სეეტების გამოყენებით, კედლების მოხატულობით, სახლიდან გამოხედვისათვის, სათანადო პეიზაჟების შერჩევით, და პრაქტიკულ კონფორმის — კანალიზაციას მომზინარე წყლით ფეხისადგილებისათვის, აბანოებით, სუფთა წყლის მოწოდებით სასმელად. პრინციპით აჩქივები ქუჩები იყო სწორი და მოკირწყლული, მშვენიერი ხიდებით და ვიადუკებით. ცივილიზაციას ემჩნევა გავლენა ეგვიპტის და განსაკუთრებით მცირე აზის, ამასთან ყველაფერი ორიგინალური, თვისებურია. აზილანაა გადმოღებული ლითონის შერწყველობა, წერა, ტანისამოსი, მესაქონლეობა და განსაკუთრებით სარწმუნოება. აქც იგივე კულტია დიდი დედის, დიდი ქალ-მეროთის, კულტი განაყოფილების, კულტი ცხოველების და ხეების.

ისტორიკოსები კრიტის ბრწყინვალე ცივილიზაციას სოვლიან პირველ მედიცინურ სასწაულად, რომელმაც მხოლოდ შესაძლებელი გახადა მოვლენა მეორე სასწაულის, აგრესოდებული ელინურის სასწაულის (საბერძნების ცივილიზაციის), და რომ არ ყოფილიყო კრიტის ცივილიზაცია, ან იქნებოდა ელადის ცივილიზაციაც.

სამწუხაროდ, 1400 წ. ჩრდილოეთიდან მოსულმა ურდოებმა (ბერძნებმა) დამხეს კრიტის ცივილიზაცია და მცელევართა სამართლიანი აზრით, ეს იყო რამდენიმე საუკუნით უძანდახევა, რეგრესი.

ამ დამხების შემდეგ, ბევრი კრიტელი სხვა ქვეყნებში გარდაიხვეწა. სხვათა შორის ერთი ჯუფი მოვიდა ქანაძში — ესენი იყვნენ ფილისტიმელები, რომელთაც კრიტის ცივილიზაციის ელემენტების გადმოტანით საფუძველი ჩაუდგეს პალესტინის კულტურის და პალესტინის სახელიც მათგან წარმოსდგა (პალესტინა — ფილისტიმელთა ქვეყანა). მეორე ჯგუფი კიდევ ფინიურაში დასახლდა და იქ კრიტული ცივილიზაციის კრის შექმნა.

ვინ იყო სალხი, რომელმაც წარმოშეა კრიტის ან ეგვიპტის ცივილიზაცია? იგი არაა არც სემიტური, არც ინდო-ევ-

როპიული მოდგმის. ენა არა ჰეთა ბერძნულს. ფიზიკური ტიპი ბასებს მოგვაგონებსი, მმბობს ზოგიერთი. როგორც უკვე არსებობს მსგავსება მცირე აზიის და კრიტის მოსახლეობათ, შორის. ამის მიხედვით, იტორიუსები ფიქრობენ, რომ ეგვიპტის მცირნი უნდა ეკუთვნოდნენ იაფეთიანთა თუ აზიანიკთა ოჯახს.

ეგვისიდან თუ ზევით ავიწევთ, ყველამ უწყით, რომ სამხრეთი გერმანია, საფრანგეთი, ვიღრე იქ გერმანელები და კლეიბი (გალები) მოვიდნენ, ეკვათ იძერებს. ამის კვალი შენახულია გერმანელ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილების და მდინარების სახელები. ყველაფერი ეს უძრალო სახლმძღვანელოებშიც არის აღნაშნული. ჩვენი მეცნიერი ნ. მარი ფიქრობდა, დასავლეთ ევროპის, ნამეტურ სამხრეთის, დღევანდელი მცირნი წმინდა არიელები კი არ არიან, არამედ იაფეთიანთა და ინდო-ევროპიელთა შეჯვარა-დინებული მოსახლეობაა.

უწყით აგრედე ბასების არსებობა ესპანეთისა და საფრანგეთის სახლვრებზე, რაც ცალდკოფს პირენეს. რაიონში, თუ უფრო ფართოდ, ბასების — მასების ტომის ბინადრობას. ალბად მთელი ესპანეთი დასახლებული იყო პას-იბერთა ტომებით.

ყველას მოგეხსენებათ, რომ იტალიის მცირნი ეჭრო-პიელ-ლათინთა მოსკოვმდე იყვნენ ეტრუსკები, რომელთა კულტურა საფუძველია რომისა და რომელთა ჩამომავლობას იაფეთიანთა ოჯახს უკავშირებენ. ორიგინალური მცვლევარი სოციალურ გეოგრაფიისა Ed. Demolins დარწმუნებულია, რომ ეტრუსკები, ისე როგორც პელასხები, კოლხეთიდან არიან ვადასახლებულნი, რომ საერთოდ, კოლხეთმა დაუდვა საფუძველი მედიტრანულ კულტურაა, მის ფიზიკურ და სოცია-ლურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას.

ბოლო დროს წარმოებული გათხრები სამხრეთ რუსეთში იმის საბუთს იძლევიან, რომ შავი ზღვის ჩრდილო ნაპირები, უძველეს დროში დაკაცებული იყო იაფეთიანთა თუ აზიანიკთა მონათესავე ტომებით.

ყველა ზემოდა ჩამოთვლილი ფაზტი გვაფიქრებინებს, რომ ერთ დროს მთელი ტერიტორია წინა აზიისა, მდე ინდუსტრიან დაწყებული, ბალკანეთი, იტალია, ებრაეთი, სამხრეთ საფრანგეთი და გერმანია და შავი ზღვის ჩრდილო ნაპირები დასხალებული იყო ერთი და იგივე მოდემის ხალხებით. საღანმ გაჩნდნენ აქ ისინი? საფიქრუბელია, რომ პატიაც ძერიან მოვიდნენ, საიდანაც შემდეგ ინდოევროპიელებთა — ცენტრალურ აზიიდან და გამოისახეს იგივე გზა: ნაწილი წინა აზიაში დაბინავდა, ნაწილი ევროპაში. დროთა გამავლობაში ხდებოდა მითი გადასვლა-გადმოსვლა, შერგვა, შეგვარედინება.

ასე ფართოდა შემთაფარგული იაფეთიანთა მოსახლეობის სივრცე. ეს ჭერ პიბოთეზა მხოლოდ, პიბოთეზა, რომელსაც ბევრი, ბევრი შანსი აქვს, უდაფო, დებულებად იქცევს. ეს სივრცე შეიძლება შეიძლებოს; შეიძლება ისიც, რომ გაიშალოს, ყოველ შემთხვევაში, ეს გარემოება ვერ შეცვლის იმ უკეთო ფაქტს, რომ იაფეთიანთა ნათებაც ისტორიაში ფრიად დადგი ადგილი ეკავა და დიდია, მძლავრია მისი როლი კაცობრითის ცვირილიზაციის შექმნაში...

ამ მოდგმის დღეს წარმოვალგვით ჩვენ, ქართველური და ჩრდილო კავკასიელნი, 600—700 ათასი ბასის მომატებით, სულ 5—6 მილიონმდე სული. ჩვენ და ელემენტები, ნატეხები წინაპარათა შექმნილ და მოძალადეთაგან დანგრეულ ცივილიზაციათა, რომელთა საუბრები ჭერ კიდევ მიწაშია შენახული და რომელნიც, მიუხედავად დანგრევისა, დაედვენ საფუძვლად შემდეგ ცივილიზაციებს. სემიტებმა დააქციეს სუმერი, მაგრამ დაეყრდნენ მის კულტურას — მის რელიგიას (მხოლოდ სახელები შეუცვალეს სუმერულ ღმერთებს), მის ცოდნას, ტექნიკას. ელინებმა დააქციეს კრიტი, მაგრამ მერმე ნელნელა ამოკენებს მის ნანგრევებში ელემენტები თვეის ცივილიზაციისათვის. მათივე მასტივლებლები იყვნენ მცირე აზიის მცირდრი ტომები. მათი პანთეონი უმთავრესად ამ ტომთაგანა-პრომეთეც—ქართველი ამირანი—ეს წმინდა მცირე აზიის მეტალურგიის წარმოშობილი ლეგენდაა. არგონავტების ოქმულება ქართული წარმატებული მრუწველობის გამოძახილია. ვისაც პლატონი წაუკითხავს, არ დაივიწებს, თუ რა მხატვრულად, ცოცხლად აქვს დახატული ფილოსოფოსს, ბრძოლა

ადამიანში პროტესტაციულ იმპრეტეტისა და იდეალურ მისწოდებისა. ეს თანხმუნებისამა ადამიანის დიდიდ იმყრისძა სუმერთა გონიერას: მათმა ღმერთებმა კაცი შექმნეს მიწისაგან (კუცისაგან) და ჩატერეს ზეციური სული, ამიტომ ადამიანში თავი არსება — ერთი მიწისკენ ეზიდება, მეორე — ცისკენ. ესევე აზრი გამოისახეს მათ თავის ქანდაკებებით, რომლებიც წარმოადგენენ ნახევრად ადამიანს, ნახევრად ცხოველს. სუმერელების მითოლოგია. — ქვენის განენა, ადამ. და ევა, წარმონა ბოროტისა და კეთილის ბრძოლა, სოციალური მორალის პრინციპი და სხვა ებრაელთა ბიბლიის საშუალებით, მთელი ქრისტიანობის ჩრდების საგანი გახდა ქრისტეს აღდგომა, სამეტა-ღმერთი წინა აზიის წარმოშობისაა. ღვთის მშობლის კულტი — ეს შეცელილი კულტია მდ დედა ღმერთის, რომელიც ზეცით გვერდა მოხსენებული. ქრისტიანობა მცირე აზიის შექმნილი რელიგიაა. ის იშვა პალესტინაში, ხოლო მისი საფუძვლები, დოგმები, ორგანიზაცია — სულ შეირჩე აზიისაა. მართალია, მაშინ — ამ ქრისტიანობის შემუშავების დროს აზიანიკების სახსენებელი აღარსად იყო, მაგრამ. დარჩენილი იყო ძველი სული, ფსიქიკა, ტემპერამენტი, ლრმა რწმენები, ზნენი, რომელნიც შემდეგ მთელი ბიზანტიის მამოძრავებელი ძალა შეიქნა.

თვითეული ეს საკითხი ცალკე დაწვრილებით განხილვას მოითხოვს. ჩვენ გასახელებთ მხოლოდ და ისიც ზოგიერთი.

არც ერთს ქვეყანას არა აქვს კაცობრიობის ისტორიისათვის ისეთი მნიშვნელობა, როგორც წინაპისა. და შეიძლება, დღეს არც ერთს მხარის წარსულზე არა მა მიქცეული იმდენი ყურადღება, რამდენიც წინაპისაზე. უკვე არსებობს მდიდარი ლიტერატურა. მთელი ტომი იქნებოდა საჭირო პოტორთ და მათ ნაწერთა ჩამოსათვლელად. გამოცემულია მრავალ ტომებად აღმოჩენილი წარწერები. არსებობს სპეციალური პერიოდული გამოცემანი, რომელნიც იძლევინ ახალახალ ცნობებს. გათხრებზე მუშაობენ ყველა განათლებული ერის არქოლოგები. პირველმა და მეორე მსოფლიო ომმა დიდად შეაფერეს კვლევა-ძიება, მიზრამ ცხადია, ახლა იყო მიიღებს უფრო ინტენსივურს სახეს.

... დიდის ყურადღებას იპყრობს წინა აზიის უტეველებაზე ის-ტორია საბჭოთა კავშირის მეცნიერებაში. გარდა საზოგადო განხილვისა, პრისტობის ფრიად მნიშვნელოვანი სპეციალური გამოცელებები (ტურავე, მემჩანინოვი, პოტიროვესკ). ქართულ მეცნიერებას შეაქვს თავისი წვლილი ამ მუშაობაში (გ. წერეთელი) და საქართველოს მუზეუმშიაც მოეპოვება ურარტუს ძირითადი ნაშთები.

სამწუხაროდ, ერთი რამ პრისტობას და ცუდი გეზით მიმართავს ევროპიელ და ამერიკელ მკვლევარების მუშაობას. ესაა ქართული ენის და საქართველოს ისტორიის უცოდინაობა ანუ უკეთ რომა ვსოქვათ, კავკასიელ ერებისა და კავკასიურ სინამდვილის უცოდინაობა. წანა აზიის ისტორია აჩინა ყოველის უწინარეს აზიანების, იაფეთიანების ისტორია და თავისთვალ ცხადია, რომ მკვლევარი აუცილებლად უნდა გაეცნოს იაფეთიანთა დღემზის დატენენილ წარმომაზდენლებს, რადგან ამ ცოცხალ ხალხებში და მათ ენებში შენახულია ნაშთი უცველესი დროისა.

ამ გარემოებას კარგი ხანია ყურადღება მიაქცია ჩვენმა მეცნიერება ნ. მარმა. თავის საჭარო ლექციაში, რომელიც ქუთასში წაიკითხა 1911 წელს, მან განაცხადა: „ორიენტალისტები და თვით ქლასიკებიც უსვე მოსული არიან კავკასიის კარგებან, მის წიაღში ეძრებენ და არც უსაფუძლოთ ელარ საჭირო პასუხებს, თავ-თავის საგნებზე. კმარა ერთი გაბედული, ვთქვათ ბრიტანეს მსგავსად, საკმეში მუყაითი, ნამდვილ მეცნიერულად გაწრთოვნილი ვინმე შემოვიდეს ჩვენს მასალებში, კმარა ასეთმა სწავლულმა, ერთი ყურადღებით და შეგნებით ჩახედის მას, რაც უკვე გამორჩეულია, რომ ქართულს და მის მთხაოვესავე ენებს ფართოდ გაეღოს კარები ყოფელ უნივერსიტეტში, სადაც კი იუვლევენ ან კაცობრიობის უძეველეს სტრუქტურას ან საბერძნების და რომის უძეველეს ისტორიას ან სემურს ენებს ან ლურსმულ წარწერებს ან ძევლი აღთვემის პირველ წიგნების თავგადასაგალს ან სომხურ ენას ან საზოგადოთ საყოველთაო ენამცნებიერებას. ქართულს და მის მონათესავე ენებს, ჩემთვის ყოველ ეპიზოდს გარეშე, ფრიადი პარივისცმა და ჩვენთვის ახლა წარმომაზდენელი დღემზი მოელის მეცნიერებაში. ცხადია, იმ ხანაში ამ დარჯის მეცნიერე-

პი მეცნიერულ გამარჯვებასთან ერთად მოიხვევენ უფრო მეტს ქრისტიანულ კრისტიანულობას და მაშინ, მე მწამის, მოხარდ თავობას, პრეზიდენტი და მოზარდ ქართველ ვაჟებს და ქალებს ჩათი, სამშობლოს მოტრიფისლე, დედები, მამები და ბიძები შეტის გულტრუელობით, ნამდვილი გულის სილრჩიდან ეტყვიან: „პატიც ეც დედაენასა შენსა“, და უფრო გამარჯვებული ჩაგონებით ზეღალქენენ: „და ისწავლიდე მას და ყოველთა ძმა-ენათა მისთა მეცნიერულად, და კეთილ გეყოს შენ“...

ესეებ აჩრი გაიმეორა ნ. მარმა თავის ლექციაში, პარიზში ოცდახუთი წლის წინად (1923, 3/11). მან თქვა სახელობრ: „ვიკადრებ თქმას, რომ დღეს იქნება, თუ ხეალ, ქართული ენის შეუსაწყვლელად და მის აღმოჩენილ საშუალებათა გაუცრობლად ვერც ერთი საკაცობრიო კულტურულ სიძეველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება“.

ჩვენი წარსულის, თუნდაც ძალიან შორეულის, გამსენება დღეს არ არის ზედმეტი. ქართველები არა ვართ ჩალაც გარიყული ერი, არარის მქონე, არაფრის შემქმნელი. არა, ქართველი ერი დაკავშირებულია კაცობრობის ისტორიის უზარეს ამბებთან. ჩვენმა წინაპრებმა და მთმა მონათესავე ხალხებმა დაუდგეს საბირაველი ქვეყნიერების ცივილიზაცია. ეს ცივილიზაცია გარედანმობერილი არაა ჩვენთვის, შევაა ჩაგროვილი ჩვენი გული, სული, ჩვენი სისხლი და ხორცი..

პატარა ერი ვართ, მაგრამ ეს განა ღააბრკოლებს ჩვენს აღმავლობას?

რამდენი პატარა ერი იყო, რომ თავის კულტურულ ზემოქმედებით დადგი როლი ითამაშეს ისტორიაში! რამდენი პატარა ერი არსებობს დღესაც, რომლებიც ღირსეულად ვმასხურებიან კაცობრობის წარმატებას!

აქ აღტაცებით უნდა მოვიტანო შესანიშნავი სიტყვები, რომლებიც ამ ახლო ხანში კვლავ გავიგონეთ. საბჭოთა კავშირის და ფინეთის, თანასწორულებიანობაზე აგებულ ხელშეკრულების დადების გამო ამს. სტალინია განაცხადა:

„ბევრს არა ხერა, რომ შესაძლებელია თანასწორულებიანობა დაიდა და მცირე ერებს შორის, მაგრამ ჩვენ, საბჭოთა აღმიანები, ვფიქრობთ, რომ ასეთი ურთიერობა შესაძლებელია იყოს და კიდევაც უნდა იყოს. საბჭოთა ადამიანე-

ბი ფიქრობენ, რომ ყოველ ერს, — სულ ერთია — დიდსა თუ მცირეს, თავისი თვისებრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთხნის და რომელიც სხვა ერებს არ მოეპოვებათ. ეს თვისებურებანი ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძირებელ შეაქვს და ავსებს, მძღიდობს ამ ქაგანძურს. ამ აზრით ყველა ერი — მცირეც და ღიღიც — თანაბარ მდგომარეობაშია, და თვითეული ერი ჭოველი სხვა ერის თანაბარ-მშიგელოვანია.

„დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის ბევრი როდი მოპოვება, რომელთაც მცირე ერები ღიდ ერთა თანასწორულებებანად მიაჩნდეთ. მათი უმრავლესობა მცირე ერებს უყურებს მედილურად, ქედმაღლურად, ისინი წინააღმდეგი არ არიან, რომ მცირე ერებს ცალმხრივი გარანტია მისურ, მაგრამ ეს მოღვაწეები, საერთოდ რომ ფოქვათ, არ თანხმდებან მცირე ერების თანასწორულებებიან ხელშეკრულებათა დაცებას, რაღაც მცირე ერები თავიანთ პარტნიორებად არ მიაჩნიათ“.

ეს უკვდავი, ოქროს ასოებით დასაბეჭდი სიტყვები უნდა ისმინოს მთელმა მოვფლიომ, უნდა ყურად იღოს და დაუდგას საფუძვლად თავის საერთაშორისო პოლიტიკას, თუ უნდათ, რომ ქვეყნად დამყარდეს ჰეშამარიტი შშვიდობიანობა და სამართალი. ეს სიტყვები მარად სახელმძღვანელო უნდა იყოს საბჭოთა ყოველი მოქალაქეთათვის, და თან სამაყო. ამ მცირებას უნდა ვემყარებოდეთ ქართველობა — ერთი მცირე ერთა-განი — ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენს საზოგადოებრივ მუშაობაში, ჩვენს შემოქმედებაში.

საქართველო გადაუჩა იმპერიალისტურ ჩუსეთს, რომელიც დამხმა იქტიომბრის ღიღმა რევოლუციამ, და დღეს იგი არის თანასწორი — და სრულუფლებიანი წევრი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირისა. მისი ეკონომიკურ-სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება უზრუნველყოფილია. მის ეროვნულ თვითარსებობას ასა ემუქრება რა. პირიქით, შექმნილია ისეთი პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ ეროვნულ თავისებურობის და შემოქმე-

დების გაშლას. საბჭოთა კავშირი არა თუ ისტორიულ ერების ანიჭებს საშუალებას თავისუფალ ეროვნულ განვითარებისათვის, არამედ მან მისცა სახელმწიფო კულტურული მიზანისაცია, შეუქმნა დამწერლობა და ლიტერატურა ისეთ ჩამორჩენილ ხალხებს, რომელიც დღემდე ამას მოკლებულნი იყვნენ.

ასეთი მდგრმარეობა საცავბით უნდა გამოიყენოს ქართველმა ერმა და გაორკეცებული ცნერგიით უნდა იმუშოს სამშობლოს აღორძინებისა და გაზრდისათვის. თვითეული ქართველი, დიდიდან დაწყებული მცირე მუშავამდე უნდა გამსჭვალულ იქნეს იმ მისტრაფებებით. რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს ერთი პირველთაგანი ცხოვრების ყოველ დარგში — სოციალურ ეკონომიკურ გარდაქმნაში, კონებრივ ამაღლებაში, ჰუკარის ზნეობის შეთვალებაში, მხატვრულ მიღწევებში.

თუ ჩვენი წინაპრები — ძალიან შორეული და ახლობლებიც უკანასკნელ რიგებში არ იღვინენ საკუობრიო ცოვალიზაციის შექმნის მუშაობაში, პირაქით ბევრჯერ კიდეც მეთაურობდნენ, ამის გახსნება და გაცნობა დღლეანდელ დიდ რევოლუციონურ ხანში დაიღია დროულია და ექტუალური იქნება ზეღმეტი წამახალისებელი მოტივი, რათა მომეტებული გატაცებით და ძალით კემისახუროთ სამშობლოს კეთილდღეობას. ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასო. ქართლის ცხოვრების წიგნი ჯერ არ დახურულა. იქ კიდევ ბევრი დაუწერავი ფურცელია. მა უფროლებზე უნდა აღიწეროს კვლავ დიდი საქმეები, უნდა ჩაიწეროს ღიდი სახელები...

#### რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი.